№ 2910
შაბათი,
17 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2910
შაბათი
17 სექტემბერი

ფასი წლის: წელიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატება—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 50 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 1 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის. ხელის მომწერნი, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვთ **მოუზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**
როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოგზავნოს.
ცალკე ნომერი გაზეთისა ყველგან ღირს 3 კაპ. **ხურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

ქალთა სასწავლებელი და პანსიონი
მ. გ. ზავრიევისა
მოსწავლეთა მიღება 28 აგვისტოდან დაიწყო. ამზადებენ **ყველა საშუალო სასწავლებლისათვის.**
მიხეილის პროსპექტ. № 79. (5—5)

ᲛᲘᲡᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲜᲐᲛᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ
ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ
ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 123. ტელეფონი № 788.
კურსი 3 წლისაა. საგნები, რომლებსაც კურსებზე ასწავლიან: მკაფიო გამოთქმა და სცენო ხელოვნება სომხურ, **ქართულ** და რუსულ ენებზე; გრიმი, ხატვა, ცეკვა, პლასტიკა, მიმიკა, თეატრის ისტორია და ხმის დაწყება.
მიღება **20 აგვისტოდან** ყოველ დღე **12-დან 3-მდე** და **5-დან 7** საათამდე, კურსების სადგომში.
პროგრამები იძლევა და იგზავნება უფასოდ. **კურსებთან არსებობს სცენა.**
—319—21) კურსების დამაარსებელი **ს. მ. დოლუხანოვისა**

Ი Შ Ვ Ი Ა Თ Ი Ვ Ა Ჭ Რ Ო Ბ Ა
„ᲫᲛ. ᲐᲙᲝᲤᲯᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲥᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘᲡ"
ამხანაგობა
ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა.
ვ ა ჭ რ ო ბ ა
მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში საქონელი.
100,000 მანეთისა.
საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **ეს სქელები ფასები დ'ანიშნოს, რასაც ისე გაშრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.**
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით უეჭველ კონკურენციის გარეშე.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.
ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲕᲐᲭᲠᲔᲑᲚᲐᲓ.
ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—103)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოების გამგე კომიტეტი აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის სექტემბრის 18-ს, კვირას, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა საზოგადო საერთო კრება.
კრების განსახილველია შემდეგი საგნები:
1. გამგე კომიტეტის თავმჯდომარის, თავმჯდომარის ამხანაგის და წევრების არჩევანი.
2. სათავად-აზნაურო გიმნაზიისა და ახალის შენობისათვის, სარევიზიო კომისიების წევრთა არჩევანი.
3. საკითხი გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ.
და 4. სხვა და სხვა საკითხები. (ნ. 4—3)

სენაკის მაზრის, სოფელ მარტვილის მცხოვრებნი და დ. ნოდოლევის მოვაჭრენი საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ამა წლის სექტემბრიდან ყოველ ხუთშაბათ-პარასკეობით დაბა
ᲜᲝᲦᲐᲚᲔᲕᲨᲘ ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲐᲓ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐ,
სადაც გაიყიდება ყოველ-გვარი პირუტყვი და ადგილობრივი ნაწარმოები და ამისათვის სთხოვენ პატივცემულ საზოგადოებას, მყიდველთ და გამყიდველთ, იქონიონ მსვლელობა ბაზრობაზედ. (10—6.—6)

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით ელისაბეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. **ᲐᲚᲐᲯᲐᲜᲝᲕᲘ.** 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. **ᲔᲒᲘᲐᲖᲐᲠᲝᲕᲘ.** 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფლობანი; ელექტრონით წამლობა.
ვ. ნ. **ᲓᲔᲛᲘᲓᲝᲕᲘ.** 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ა. **ᲢᲐᲢᲔᲕᲝᲡᲝᲕᲘ.** 12—1 ს. შინაგან და ბავშვის ავადმყოფობანი.
ი. ე. **ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲝᲕᲘ.** 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. **ᲙᲘᲛᲝᲜᲢᲘ.** 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. **ᲔᲚᲩᲘᲔᲕᲘ.** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ვ. ა. **ᲑᲔᲘᲔᲠᲘ.** 1—2 ს. ბავშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგეობით. სტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—8)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და ლოვი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანი წვილისა № 16.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791. (წ.)

ე ქ ი მ ი
Დ. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.
დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ქიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კრუჟოკის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. (თვ.—828—18).

Ე Ქ Ი Მ Ი
Მ. Დ. ᲙᲘᲚᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 საათ. და საღამოობით 5—6 ს. კორუბეევის ქუჩ. № 28 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—3)

შედ ცინის დოქტორი
Მ. Ი. Მ Უ Რ Ა Დ Ო Ვ Ი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან 11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1, ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 7111. (50—868—1)

კბილის ექიმი
Ი Ვ Ა Ნ Ე Პ. Ა Ხ Ა Ლ Შ Ე Ნ Ი Შ Ვ Ი Ლ Ი
ნიკოლოზის ხიდის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ნიკოლოზის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეებით 10—1-მდის.

კბილის ექიმი
Ი. Ზ. Კ Ა Ნ Დ Ე Ლ Ა Კ Ი.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 80. (80—29)

კბილის ექიმი
ᲐᲚ. ᲡᲝᲚᲝᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (80—9)

Ე Ქ Ი Მ Ი
Პ. Ა. Ა Რ Დ ᲐᲖ Ი Ა Ნ Ი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—18)

ᲐᲮᲚᲐᲓ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ
ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝ.
ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ. 50 ᲙᲐᲞ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. ტსამბაში. (25—25)

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ფრიად საინტერესო ამბავი გვაუწყა გუშინ ტელეგრაფმა: მოსკოვში შეკრებილ საქალაქო და საერობო მოღვაწეთ შემდეგი პრინციპიალური დადგენილება მიუღიათ: როგორც-კი დამყარდება რუსეთში საკონსტიტუციო წესწყობილება, განაპირა ქვეყნებსა და ერებს კანონიერი გზა უნდა გაეხსნას ადგილობრივ ავტონომიების დასაარსებლადაო. როგორც სააგენტოების დეპეშებიდან სჩანს, დადგენილების მოხდენამდე კრებაზე დამსწრეთ გაცხარებული კამათი ჰქონიათ. ბევრი აფრთხილებდა თურმე კრებას—მაგ გზას ნუ დაადგებით, თორემ იმპერია დაიშლებაო, რუსის ხალხი ცუდის თვალით შეჰხედავს ჩვენს კრებასაო და სხვა; მაგრამ უმრავლესობას (78 ხმის წინააღმდეგ 40-სა) ყური არ უთხოვებია მრჩეველთათვის და ფედერაციის სასარგებლო რეზოლიუცია მიუღია.

ჩვენ დიდმნიშვნელოვან გარემოებად ვთვლით ამ დადგენილებას, რადგან იგი ეკუთვნის არა უკიდურეს პარტიათა წარმომადგენლებს და არა ჟურნალისტებსა და მეცნიერთ, არამედ ამ დროის რეალურ პოლიტიკის მოღვაწეთ. ეს-კი იმას მოასწავებს, რომ საკითხი რუსეთის იმპერიის დეცენტრალიზაციის შესახებ თან და თან ხდება „რეალურ ქმნათა სივრცე" და თეორეტიკოს-დოქტრინერთა „ოცნების" მნიშვნელობას ჰკარგავს უკვე ყველასათვის. რაც დღემდის ყრუდ თუ იხსენიებოდა სამეცნიერო გამოკვლევაში ან ფარულ ლიტერატურის „pium desiderium"-ს შეადგენდა, დღეს ის ხალხისა და საზოგადოების საჯაროდ გადასაწყვეტ-საკამათო საგნად ხდება, მიზნად იქცევა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიისათვის. ეს ჩვენის დროის გამარჯვებაა,—გამარჯვება იდეიური, რომელსაც უთუოდ მოჰყვება ფაქტიურიც.

ამის თავდები, სხვათა შორის, ისიც არის, რომ მოსკოვის კრებაზე ავტონომიის მოწინააღმდეგეთ არსებითი საბუთები ვეღარ მოუყვანიათ და რუსეთის დარღვევის აჩრდილით აშინებდნენ დამსწრეთ, მაგრამ ამითი აღარავინ ტყუვდება და თვით რუსის ლიბერალებიც-კი არ უშინდებიან კანონმდებლობის დეცენტრალიზაციის საკითხს...

ვიმეორებთ, ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან რუსეთის საზოგადოებრივ აზრს ზრდის და სამართლიან იდეას ავრცელებს ხალხში, მაგრამ ერთ წუთსაც არ უნდა ვინუგეშოთ თავი ამით, ერთ წუთსაც არ უნდა მოვტყუვდეთ, თითქო რუსის პოლიტიკურ მოღვაწეთა ან პარტიათა წყალობით განხორციელდეს სამართლიანი დეცენტრალიზაცია.... გ.

ᲡᲐᲔᲠᲝᲑᲝ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲔᲑᲘ

ქუთაისში ჟამე საგუბერნიო საერობო საბჭოს კრებები დაიწყო. საგანი საგუბერნიო კრებისა იგივეა, რაც სამაზრისა; საგუბერნიო კრების წევრები მაზრის კრებებზე არიან არჩეულნი და ამიტომ, უეჭველია, აქაც დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებულ ერობას აღიარებენ საჭიროდ ჩვენის ქვეყნისთვის. რამდენადაც ვიცით, ქუთაისის ყველა მაზრებში საერობო საბჭოები მტკიცედ იდგნენ დემოკრატიულ პრინციპებზე, რომელთაც ან სულ არა ჰყავდათ მოწინააღმდეგე და ან, თუ ჰყავდათ, ძალიან ცოტა. ქუთაისის საგუბერნიო კრება ამ მხრივ ახალს ვერაფერს გვეტყვის. მაგრამ არის ერთი საგანი, რომელიც, ჩვენის ფიქრით, საგუბერნიო კრებაზე უფრო მეტის საფუძვლიანობით უნდა იქმნას გამორკვეული, ვიდრე ეს სამაზრო კრებებზე იქნებოდა მოსახერხებელი. ასეთ საგნად მიგვაჩნია საკითხი საერობო ერთეულების შესახებ. სხვა და სხვა მაზრის წარმომადგენელნი ამ მძიმე საკითხს ერთად უფრო უკეთ შეაგნებენ, ვიდრე ცალ ცალკე, ერთად უფრო ადვილად გაითვალისწინებენ რა სახის ერთეულებია საჭირო, ვიდრე ცალ-ცალკე.

ქუთაისის ინტელიგენციის ერთის ჯგუფისაგან შედგენილი პროექტი საჭიროდ სთვლის სამ-სართულიან ერობას და ამასთან სასურველად მიაჩნია მეოთხე და მეხუთე სართულიც. ამ პროექტით განზრახულია ერობა საბოქაულო, სამაზრო, საგუბერნიო, საოლქო და ამიერ-კავკასიისა. მოსალოდნელია, რომ ამ პროექტს ქუთაისის საგუბერნიო საბჭოში ბევრი დამცველი ეყოლება, და ამიტომ ურიგოდ არ მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ გავარკვიოთ ამ საგნის შესახებ ჩვენი აზრი.

უეჭველის უწინარეს უნდა ვახსოვდეს, რომ საერობო თვით-მმართველობის ორგანიზაცია უნდა შეეფერებოდეს ხალხის კულტურულ და ეკონომიურ ძალებს, რომელნიც მხოლოდ იმდენად უნდა იქმნან მოწოდებული საერობო საქმეებისათვის, რამდენადაც ეს აუცილებლად საჭიროა. გონივრად ყველგან საჭიროა, უაზრობაა ხალხის კეთილ-დღეობისთვის მავნებელი იქნება და არა სასარგებლო. ხუთ-სართულიანი საერობო თვით-მმართველობა ცხადისწამებს ხუთს საერობო კრებას და ხუთს საერობო საბჭოს; თითოეულს საერობო საბჭოს თავისი მოხელეები ეყოლება. ყველა ეს რომ გავითვალისწინოთ, ადვილად წარმოიდგენთ, რამდენი საზოგადოებრივი ძალა უნდა მოწყდეს ხალხის კულტურულ ცხოვრების სხვა მხარეებს და მთლად საერობო საქმეებს მოეჯხმარდეს. რა თქმა უნდა, თუ საჭიროება მოითხოვს, ამ გარემოებას არ უნდა შევუშინდეთ, პირიქით, უნდა მოხარული ვიყოთ, რომ საზოგადო საქმეს ბევრი მოღვაწე და დიდი ეკონომიური ძალა სჭირია, მაგრამ საკითხიც ის არის, არსებობს თუ არა ასეთი საჭიროება.

ხალხისაგან არჩეულს წარმომადგენლებს, რომლებიც ხალხმა, ალბად, იმიტომ აირჩია, რომ ისინი კარგად იცნობენ ადგილობრივ საჭიროებებს, არ უნდა გაუჭირდეთ ამ მძიმე საკითხის გონივრულად გადაწყვეტა. ცოტა სიდინჯე და უარყოფა წინასწარ შედგენილის აზრებისა—სრულიად საკმარისია ამისთვის. არჩეულმა წარმომადგენლებმა ნათლად უნდა გაითვალისწინონ რა საქმეების მოწყობას შეიძლებს საერობო მოღვაწეობა და ამის შემდეგ ადვილად გამოარკვევენ, რა გვარი ერთეულებაა საჭირო.

ჩვენის შეხედულებით, არც საგუბერნიო და არც საამიერ-კავკასიო ერობისთვის არ შეიძლება გვეჩვენოთ ისეთი რამ საერობო საქმე, რომლის ასრულებაც შეუძლებელი იყოს ან მცირე ერთეულის ან მაზრის და ან საქართველოს ერთობისთვის; პირიქით, თითოეულს ამათგანს აუცილებლად ბევრი ისეთი საქმე აღმოუჩნდება, რომლის ასრულებაც სხვა საერობო ერთეულზე მიგდება მოუხერხებელი იქნება. ცხადია, რომ მოკლე საგაზეთო წერილში შეუძლებელია ყოველმხრივად გავარკვიოთ ეს რთული საგანი. ჩვენ აქ საკმაოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ტერიტორიის დანაწილება საერობო ერთეულებად იმ პრინციპზე უნდა დავამყაროთ, რომ ორგანიზაცია თვითმმართველობისა რაც შეიძლება მარტივი იყოს, არაფერ მეტს არ შეიცავდეს და ხელოვნურად არ ჰქმნიდეს ისეთს ერთეულებს, რომლებსაც შესაფერი საერთო ადგილობრივი ინტერესები არა აქვს.

გუბერნია და ამიერ-კავკასია წარმოადგენენ ხელოვნურად შექმნილ ადმინისტრატიულ ერთეულებს, რომელთაც არც განსაკუთრებითი საერთო კულტურული და არც განსაკუთრებითი საერთო ეკონომიური ცხოვრება და მოთხოვნილება არა აქვთ. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ ერობის ერთეულები უეჭველად არსებულს საადმინისტრაციო ერთეულებს შეეფერებოდეს; ერობის ორგანიზაცია ცხოვრების პირობებს უნდა უწევდეს ანგარიშს და არა ადმინისტრატიულ ხაზებს.

ქუთაისის პროექტის შემდგენელნი თითქოს თვითონვე ჰგრძნობენ, რომ ხუთ-სართულიანი ერობა მეტად რთული და მოუხერხებელია, და ამიტომ ისინი ამიერ-კავკასიის და საოლქო ერობას გადაჭრით არ აწესებენ და მხოლოდ ამ ერთეულობის შექმნის ნებას აძლევენ გუბერნიებს. საგუბერნიო საერობო დაწესებულებებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ერთმანეთთან და საოლქო ერობა შემოიღონ, საოლქო ერობათა შეთანხმებით კიდევ შესაძლოა ამიერ-კავკასიის გაერთიანება ერთს საერობო ერთეულად. ამ გვარად, საოლქო და საამიერ-კავკასიო ერობა ფაკულტატიური დაწესებულებაა და არა სავალდებულო. ჩვენ გვგონია, რომ ეს სრულიად მოუხერხებელია.

ერობა ტერიტორიალური კავშირია და არა ნებაყოფლობითი; სწორედ ამიტომ მოსალოდნელი არ არის, რომ რომელიმე სახელმწიფო თავის მცხოვრებლებს მიანიჭოს უფლება თავის ნებაზე ახალის ტერიტორიალურ კავშირების დაარსებისა. სულ სხვაა უფლება არსებულის საერობო ერთეულების შეთანხმებისა განსაზღვრულ საქმეების ასასრულებლად; ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ცხოვრების წესდებრივს წესებს, თუმცა ბევრგან ესეც კი აკრძალულია. შვეიცარიის კონსტიტუციით, მაგალითად, სრულიად ავტონომიურ კანტონებსაც კი არ შეუძლიათ არა თუ სრული გაერთიანება, გარდა შეთანხმებაც კი ურთიერთთან რომელიმე საქმისათვის.

ჩვენ გვგონია, რომ საგუბერნიო საბჭოებმა ამ მხრივაც უნდა გაითვალისწინონ საქმე: თუ საჭიროდ მიაჩნიათ საოლქო და საამიერ-კავკასიო ერობა, პირდაპირ უნდა მოითხოვონ, თუ არა, პირდაპირ უარ-ჰყონ.

Გ Უ Რ Ი Ა Შ Ი

(დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი *)

(საქონში მომხდარ ამბების გამო)

კავკასიაში იშლება ფურცლები რუსეთის ახალ ცხოვრების წიგნისა... ძველი წესწყობილება ზოგან ძალზე შეირყა, ზოგან-კი ფაქტიურად დამხობილია. კავკასიაში ამ წესწყობილების ქომაგთ, თანახმად მათის მიერ ხმარებულ ლოზუნგისა, შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ ძლევამოსილობის იმედი იქონიონ. ამ ქომაგთ მორალურმა ძალამ საბოლოოდ უღალატა, დაჰკარგეს უკანასკნელი გავლენა. და აჰა გახურდა თავგანწირული ბრძოლა დრომოჭმულ წყობილებასა და ახალ წყობილებას შორის, გახურდა ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო და ამას თან მოჰყვა ძმის მიერ ღვრილი ძმის ცრემლი, ცრემლი, რომელსაც პოლიტიკა დაედო სარჩულად. ბაქოს ამბები—მხოლოდ ერთი სანაღვლელი ნაწილია ამ დიდ ბრძოლისა, მისი ერთი მწარედ დამაღონებელი ეპიზოდთაგანია. და იმ დროს, როცა ამ ბრძოლის დროს ყველაფრის ახსნა ისე ადვილია, ყველაფერი ისე ცხადია, ზოგიერთი სცდილობს თანამედროვე მოვლენა ახსნას იმით, რომ კავკასიის ერებს ესა თუ ის მისწრაფება აქვსო, მიზეზი ყოველისავე „პანისლამიზმია", „სომეხთა გაიძვერაობაა", სომეხთა და თათართა კაცი-ჭამია გრძნობებია, „თათრები ბუნებითვე უკულტურო და კონსერვატორი ხალხია", „სომხები განსაკუთრებულად და ზესთაბუნებრივად პროგრესიული ხალხია", სომხები და თათრები არიან მოძრაობის ამტეხნიო და სხ. და სხ.

ყველაზე უფრო საოცარი ის არის, რომ, რაკი მოქმედება ბაქოშია, იბადება ახალი თეორია და ამ თეორიის თანახმად ეს ამბები შედეგია ადგილობრივის დაავადებულის ცხოვრების პირობებისაო. და ცდილობენ ადგილობრივს ავადმყოფობას სხვა და სხვა ადგილობრივვე წამალი დაადონ. ზოგს მიზეზად მიაჩნია ეკონომიური ურთიერთობა, ზოგს—საადმინისტრაციო... ნამდვილად-კი ბაქოში იფეთქა იმ პოლიტიკურმა ბრძოლამ, რომელიც მთელს კავკასიას, და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიას, მოედო და რომელშიაც მონაწილეობას იღებენ კავკასიის მცხოვრებთა ცოცხალნი ნაწილნი წოდებისა და ეროვნების განურჩევლად. ბაქოში იქუხა და კიდევ იქუხებს ის საშინელი მეხი, რომელსაც ამზადებდა მრავალის წლობის განმავლობაში კავკასიის ადმინისტრაცია. ეს ადმინისტრაცია დაურიდებლად მიწასთანასწორებდა ადგილობრივს ცხოვრებას როგორც სულიერად, ისე ქონებრივად.

რა თქმა უნდა, ბაქოს სამწუხარო ამბები არსებითად შეეხნენ მატერიალურს ინტერესებს არა მარტო ბაქოელებისას, შეეხნენ ინტერესებს სხვებისასაც, რომელთაც ბაქოელებთან ფინანსიურ-ეკონომიური დამოკიდებულება აქვთ. ეს კი არა, ეს ამბები მთელის რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიურ ინტერესებსაც შეეხნენ. და მიუხედავად ამისა, სასაცილოა, კაცმა ამ ეკონომიურ მიზეზებს დააბრალოს ეს ამბები. არც ეროვნული თეორიაა ჭკუაში მისაღები. ბაქოში უმრავლესობა ორის ეროვნობის წარმომადგენელნი არიან: თათრები და სომხები, მათთან ერთად არსებობს იმავ თავითვე თან დაყოლილი სიმძულვარე. ეს სიმძულვარე სრულებით ბუნებრივია ამ ორ მეზობელ ერთა შორის, რომელთაც თავისებური რასიული ხასიათი აქვთ, ხოლო სხვა და სხვა გვარი ფსიხიკა. მიუხედავად ამ სიმძულვარისა მშვიდობიანობის დროს ეს ორი ხალხი ერთმანეთთან მეზობლურად, ტკბილად სცხოვრობდა. სანამ ცხოვრება ნორმალურად მიმდინარეობდა, ანტაგონიზმი თავდებოდა საუკეთესო ძალების კულტურულ ბრძოლით, ხოლო ბიწიერი და შეურიგებელი ელემენტები ჩუმად იყვნენ და თანდათან ჰქრებოდნენ. მაგრამ როდესაც ნორმალური და შეჩვეული ცხოვრება შეირყა, ძალმომრეობა გამეფდა და ახალ ძალებს გზა არ მიეცა, თავი წამოჰყვეს კაცთ-მოძულეობის გამავრცელებელთ. კაცთ-მოძულეობას წინა ხანაში ხელოვნურად ხელსაც-კი უწყობდნენ. ამ ბოროტებამ ფეხი მოიკიდა უფრო წრეში და მეზობელთა კეთილი განწყობილება ხელად სისხლის ღვრად შესცვალა; გაისმის სროლის ხმა და ცეცხლის ტკაცა-ტკუცი, ერთის სიტყვით, გაჩნდა უბედურება, რომელიც მზად არის მოედოს მთელ ამიერ-კავკასიას...

ხალხის მოძრაობა ამ ჟამად ქალაქიდან სოფელში კი არა, სოფლიდან ქალაქში გადადის. ქალაქი საზოგადოდ,—მით უმეტეს

---

*) იხ. „Разсвѣтъ"-ის № 169.

ისეთი დიდი სამრეწველო მრავალ რიცხოვან მუშებით სავსე ქალაქები, როგორც ბათუმი, ბაქო და სხვებია—მოხერხებული სცენებია იმ მოძრაობის უფრო გარკვევით აღსანიშნავად, რომელიც ამიერ-კავკასიის მთელ მცხოვრებთ მოედო. გასაკვირველი არ არის, თუ ამ საყოველთაო მოძრაობის დროს თავს იჩენს ხოლმე ზოგან ეროვნული, ზოგან კიდევ კლასობრივი ანტაგონიზმი. გასაკვირველი არც ის არის, თუ ისეთ გარდამავალ ხანაში, როდესაც წყალი ამღვრეულია, გაძლიერდება მოქმედება საზოგადოებრივ ცხოვრების მოწინააღმდეგე ელემენტებისა,—უპირველეს ყოვლისა, ხულიგანებისა და ავაზაკთა ბრბოების ან ტომებისა. ესენიც სჩქარობენ, საქმეს შესაფერი მონაწილეობა მიიღონ და მტაცებლობით ისარგებლონ. ამათ ადვილად უერთდება ყოველ ეროვნების ბრბო, რომელსაც ეღვიძება დაბალი ინტიქტები. შეიძლება ამ გვარი ხალხი, რომელიც არად აგდებს სხვის ცხოვრებას და დოვლათს, მეტი იყოს მაჰმადიანთა შორის; მაგრამ ამაში დამნაშავე, რა თქმა უნდა, არც ისლამია, არც თათრის ან ოსმალოს, სპარსელის ან სხვა რომელისამე შთამომავლობა. ვინც ამას ჰქადაგებს, იგი ამტკიცებს მხოლოდ თავის სრულს უვიცობას ისტორიაში; მეტიც: ასეთი მქადაგებელი ცოდვას სჩადის საკაცობრიო იდეალების წინაშე და ამავე დროს ხელს აფარებს ნამდვილს დამნაშავეს. დამნაშავე ის რეჟიმია კავკასიისა, რომელმაც ასის წლის განმავლობაში ვერ მოახერხა,—შეიძლება არც უნდოდა მოეხერხებინა—და ვერ აღმოაჩინა ნამდვილი გზა მაჰმადიანთა შორის ევროპიულ სწავლა-განათლების მოსაფენად. შეიძლება ამიერ-კავკასიაში, აქა იქ, მოქმედებდეს მეზობლის მოხერხებული ხელიც, რომელიც (მეზობელი) გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს იმას, რაც ხდება რუსეთში, განსაკუთრებით განაპირა, ოსმალეთის მეზობლად მდებარე, ადგილებში. მაგრამ ყველა ამ გარეგანმა გარემოებამ, რაც უნდა მკაფიოდ ამეტყველდეს იგი, ჩვენს თვალთაგან არ უნდა მიაფაროს მთავარი მიმდინარეობა, უპირველესი საქმე, სახელდობრ—პოლიტიკური ბრძოლა ძველ რეჟიმისა ახალთან. ამ მოძრაობამ კარგა ხანია, ათის გვარ სისასტიკის მიუხედავად, თავი შეჰყო კავკასიის სხვა და სხვა ხალხით დასახლებულ წრეში, ხოლო ეხლა ღრმად ფესვი გაიდგა ხალხის ცნობიერებაში და აქა-იქ განხორციელებასაც-კი ეღირსა. ბაქოში რომ თათრები და სომხები შეიტაკნენ, ეს დამახასიათებელი არ არის ძირითად მიმდინარეობისა; შეიძლება ეროვნულმა ანტაგონიზმმა ასეთ ან სხვა სახით თავი იჩინოს მეორე ადგილას ქართველებსა და სომხებ შორის, მესამე ადგილას—ოსებსა და ქართველებს შორის, მეოთხე ადგილას—ქართველ მაჰმადიანთა და ქართველ ქრისტიანთა შორის და სხვა. ძველი რეჟიმი მრავალ გზით სცდილობდა განემტკიცებინა უთანხმოების და ურთი-ერთ წეწვა-გლეჯის ინსტინქტები. ფოთში ქართველი ერის წარმომადგენელნიც-კი დაეტაკნენ ერთმანეთს. თავის მხრივ წოდებრივი ანტაგონიზმი შეიძლება ძმათა შორის ომად გადაიქცეს. იყო და ეხლაც არის შემთხვევა ქართველ თავად-აზნაურთა და ქართველ გლეხთა ურთი-ერთ ამოჟლეტისა. იქნება შორს აღარ არის ის დროც, როდესაც თათრის ბეგები სროლას დაუწყებენ თათარ მუშებს, ხოლო სომხის მუშები შეუდგებიან სომხის მდიდარ ბურჟუაზიის დოვლათის წეწვა-გლეჯას. უთუოდ აღარც ის დღეა შორს, როდესაც სომეხთა უკონსერვატორესს ეკლესიას,—რომელიც სასამართლოს გადაუწყვეტლად დასაჯეს სარევოლიუციო საქმეში ვითომდა მონაწილეობისთვის,—აშკარა, საჯარო ბრძოლა მოუხდება არა მარტო სომხის რადიკალურ, არამედ პროგრესის გზაზე დამდგარ სომხის მუშებთანაც.

პროფ. ნ. მარრი

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **გამგეობამ გამოაცხადა**, რადგან ათიდან ოც სექტემბრამდის აურიცხველი **ჯარი** და ტრანსპორტი უნდა გადავიყვანოთ ბათუმიდან ქუთაისამდის, ამისათვის სხვა საქონლის დროზე ჩატანის პასუხს გებას ვერ ვკისრებთო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე **ძლიერ გაძნელდა** თავისუფალ ვაგონის მიღება და დატვირთვა. თითქმის ყველა ვაგონი ქუთაისს და ბათუმს შუა მუშაობს. როგორც ამბობენ, ახალი ჯარი ბალაჯარაზე მოვა თურმე.

◆ „ს. ოტ.“-ს და სხვა გაზეთებში დაბეჭდილია: „**კავკასიაში იგზავნება ყველა პოლკები** მე 21 კორპუსისა, აგრეთვე მე-303 საარტილერიო ბრიგადა და ურალის ყაზახთა ერთი პოლკი. მთავარ შტაბში ლაპარაკია აღძრული ჯარის სხვა რიგად განაწილების შესახებ. როგორც უკვე იყო მოხსენებული, რამდენიმე კორპუსი რუსეთის შუა გულიდან კავკასიაში გაიგზავნება, რამდენიმეც ფინლიანდიაში“.

◆ ამ ცოტა ხანში, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფილისში **ჩამოვა მინისტრთა კომიტეტის საქმეების გამგე სტატს-სეკრეტარი ბარონი ნოლდე**. რაც კავკასიაში ნამესტნიკობა დაარსდა, ბარონ ნოლდეს დღევალი უმაღლეს დაწესებულებაში იმ კანონ-პროექტის დაცვა, რომელიც კავკასიას შეეხება. ეხლა, როგორც „ნოვ. ვრ.“ გადმოგვცემს, ბარონი ნოლდე ტფილისში ჩამოვა ნამესტნიკის მიერ აღძრულ ახალ კანონ-პროექტების შესამუშავებლად.

◆ როგორც ვიცით, გენერალ იაცკევიჩის ნაცვლად, **ტფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა** კავკ. გრენადერთა დივიზიის უფროსი გენერალი რილსკი. 12 სექტემბერს გენერალ რილსკის თხოვნა შეუტანია ნამესტნიკთან, განმთავისუფლეთ გენერალ-გუბერნატორის თანამდებობისაგანაო.

◆ **ტფილისის გენერალ-გუბერნატორი** გენერალი იაცკევიჩი რუსეთს წავიდა.

◆ **კავკასიის ნამესტნიკის გრაფის ვორონცოვ-დაშკოვის მოწოდება**, რომელიც ამას წინად გვქონდა დაბეჭდილი, დაიბეჭდა ადგილობრივ ენებზე და დაურიგდა მაზრის უფროსებს ხალხში გასავრცელებლად.

◆ **ქართლში ამ სამოცდე დღის წინად სულ ერთიან გახიზნულან** სოფელ ნოსტეს მცხოვრებნი. სოფელი ისე დაცალიერებულა, რომ აღარც ერთი სული აღარ მოიპოვება თურმე. მიზეზი შეტაკება ყოფილა, რომელიც მოსულიათ მცხოვრებთა და სტრაჟნიკებს და რომლის დროსაც მოუკლავთ ერთი სტრაჟნიკი. ბკლების შიშით ხალხი ახლო-მახლო სოფლებსა და ტყეებში გახიზნულა. როცა სტრაჟნიკები და ყაზახები მისულან, სოფელში აღარავინ დახვედრიათ. რაზმი დაეძებს თურმე მცხოვრებთ.

◆ როგორც „კავკ.“-შია გამოცხადებული, ნამესტნიკს შეუწყნარებია ტფ. ქალაქის თავის **ვერმიშევის თხოვნა სამსახურიდან გადადგომის** შესახებ.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ გუშინ გუბერნატორს წარუდგინა ქალაქის საბჭოს ხმოსნების ვანცხადებანი **სამსახურიდან გადადგომის** შესახებ. განცხადება შეუტანია 61 კაცს. დარჩა 18 კაცი. ამათგან 10 ქალაქს გარედ იმყოფება. ქალაქში მყოფთაგანს განცხადება არ შეუტანიათ შემდეგ ხმოსნებს: ბ. ს. ესაძეს, ექიმ კიუჩარიანცს, ინჟინერ ახუნდოვს, ვ. გ. კანდურალოვს, ლენჩევსკის, სოსინს და ფსაროვს.

◆ რაც ტფილისის საბჭოს ხმოსნებმა სამსახურს თავი დაანებეს, **ქალაქის თვითმმართველობის დაწესებულებათა** მაჯისცემა თითქმის სრულიად შესწყდა. მოსამსახურეთა ამოდენა შტატი და დაწესებულებანი მხოლოდ დღიურ წვრილმან საქმეებს ანდომებენ დროს. ჯერ უიმისოდაც მოუწყობელი ქალაქი, უფრო უარესს მდგომარეობაში ჩავარდება, რადგანაც კრიზისი თანდათან მწვავდება. ქალაქს წლის უდიდესი დეფიციტი მოელის.

◆ **ნიკ. ბარათაშვილის ძეგლისთვის** თავ. ნიკოლოზ რ. ერისთავმა შესწირა ათი თუმანი.

◆ ხვალ, 18 სექტემბერს, დაიწყება საგანგებო **კრება ტფ. სათავად-აზნაურო გიმნაზიის საზოგადოებისა**. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი სათავად-აზნაურო გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ და აირჩიოს წევრნი სარევიზიო კომისიისა, გიმნაზიის კომიტეტისა და გიმნაზიის ახალ სადგომის ამშენებელ კომიტეტისა.

◆ როგორც პეტერბურგის გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ, ვიღაც შეიარაღებული კაცები საგურამოში თავს დასცემიან **თავ. ილია ჭავჭავაძეს**. თავდამსხმელთ წაულიათ იარაღი.

◆ **ბათუმის პოლიცმეისტრად დაინიშნა** მოსკოვის პოლიციის მოხელე ციბოვიჩი.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისში არსდება **დრამატიული კურსები**. კურსები გაიხსნება ხვალ, 18 სექტემბერს. მასწავლებლებად მოწვეულნი არიან ნ. ს. დერჟავინი, აბელიანი, კ. ყიფიანი, რატიილი და ინოჩენცი. პირველი წაიკითხავს თეატრის ისტორიისა და დრამატიულ ხელოვნების ლექციებს, აბელიანი ასწავლის სასცენო ხელოვნებას, გრიმს და მიმიკას, ყიფიანი—სასცენო ხელოვნებას და მკაფიო კითხვას, რატიილს ჩაებარება ხმის დაყენება, ხოლო ინოჩენცის—ცეკვა და პლასტიკა. ამათ გარდა აზრად აქვთ უმთავრეს საგნების სასწავლებლად მოიწვიონ მოსკოვის სახელოვნო თეატრის არტისტი კომაროვი.

◆ „ინვალიდ“-ში დაბეჭდილია ახალი სია **ომში დაჭრილ ქართველ ხალდათებისა**. აქვე მოგვყავს მათი გვარები: ჩიჩუა ერმალოზ, გვასალია ნესტორ, ჯორჯოლია ხარიტონ, შვანგერიძე დომენტი, არგელაძე ეფრემ, რევიშვილი გრიგოლ, კონოლიძე ერმალოზ, შპონაძე პარმენ, ტოგობუა არტემ, კოჩუბერია ნესტორ, ჯალაგანია ერმალოზ, სიგუა კარლოსი, ვაშაკიძე მიხეილ და გეგელაშვილი იასონ. ყველა ესენი დაჭრილები არიან.

◆ ქართული ენის **ცენზორი პეტრე მირიანაშვილი**, საკუთარის სურვილით, დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდან.

◆ სამრევლო სკოლების სამაზრო მეთვალყურეთა კრების მიერ შემუშავებული **ახალი სასწავლო პროგრამა** და სკოლების გეგმა დაეგზავნება საოლქო საბჭოს წევრებს თავიანთ აზრის გამოსათქმელად. შემდეგ მოხდება საბჭოს სხდომა ამ საგნის განსახილველად. მეთვალყურეთა კრებამ ითხოვა, გეგმა სამღვდელოების დეპუტატთა კრებამ დაამტკიცოს.

◆ ქუთაისში ამ ჟამად დიდძალი ჯარია. სულ ქუთაისში დაბანაკებულია 10 ათასი ჯარის კაცი. („ნ. ო.“).

◆ საქართველოს სამრევლო სკოლების საოლქო საბჭოს მდივანი ი. გრეკოვი დაინიშნა ქუთაისის **სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად**.

◆ გაზეთები სწერდნენ, ვითომ სასულიერო მთავრობას გადაეწყვიტოს საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიის გაუქმება და **სასინოდო კანტორის კონსისტორიად გადაკეთება**. ამ ამბის შესახებ კანტორასა და ეგზარხოსის კანცელარიაში არავითარი ცნობა არა აქვთ და იგი სიმართლეს მოკლებულია. როგორც ვწერდით, კომისია იქმნა არჩეული კანტორის რეორგანიზაციის შესახებ მოხსენების შესამუშავებლად.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ამას წინად უმაღლესმა მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვა ტფ. ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა **სამკურნალო გადასახადის შემოღების შესახებ**. ქალაქმა მეორედ აღძრა შუამდგომლობა ამ საგნის შესახებ. სამინისტროს დავალებით გამგეობამ შეჰკრიბა საჭირო ცნობები და გაუგზავნის სამინისტროს.

◆ საქართველოს საეგზარხოსოს სამრევლო სკოლების საოლქო საბჭოს მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად დროებით დაინიშნა ეგზარხოსის კანცელარიის მმართველის თანაშემწე დ. დავითაშვილი.

◆ ერთმა გერმანულმა ფირმამ, რომლის ქარხნებშიაც მანქანები მზადდება, ტფ. ქალაქის გამგეობას წარუდგინა ორი პროექტი ახალ სასაკლაოს საყინულისა. ერთის პროექტით, საყინულე დაჯდება 90,000 მან., მეორეთი—120,000 მან.

◆ სასინოდო კანტორის ხაზინადარის თანამდებობის აღსრულება, არდაზიანის ნაცვლად, დაევალა კანტორის საქმის მწარმოებელს ად. დავითაშვილს.

◆ 14 სექტემბერს უნდა მომხდარიყო ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობის დაწესებულებათა მოხელეების თათბირი, მაგრამ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, გადაიდო.

◆ 15 სექტემბერს ღამე, რაღაც გამოურკვეველ მიზეზისა გამო, ცეცხლი გაუჩნდა ავლაბარში მურაშკოს თეატრს. ცეცხლის გაჩენა გვიან შეიტყვეს, რის გამოც სცენა და დეკორაციები სულ დაიწვა.

◆ მომავალ კვირას, 25 ენკენისთვეს, დაიწყება სწავლა ნაძალადევის ქალების საკვირაო სკოლაში. ზედამხედველად იქნება მართა მაჩაბლის ქალი.

◆ ხვალ, 18 ენკენისთვეს დაიწყება სწავლა ჩუღურეთის გოგების საკვირაო სკოლაში. ზედამხედველად იქნება ალექსანდრა ხარაშვილის ქალი.

◆ ქუთაისი. 15 სექტემბერს, როდესაც რკინის გზის ვაგონების დამტვირთველი მუშა კონსტანტინე სიხარულიძე ტვირთ აკიდული მიდიოდა, წაიქცა, და ქვეშ მოჰყვა ტვირთს და დაზიანდა.

◆ სად. კარაკლისი. 15 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ, მე-177 ვერსზედ, როდესაც ლიანდაგზე ურმით გადადიოდა ჰაირაპეტ იმონიანცი, მატარებელმა მოასწრო და გადაუარა. დაიღუპა მეურმეც და საქონელიც.

ერობის შემოღება

სიღნაღი. როგორც წინა წერილში გვქონდა მოხსენებული, 28 აგვისტოს მოხდა რწმუნებულთა არჩევნები სამაზრო საერობო საბჭოში გასაგზავნად. ამორჩეულ იქმნა ოთხი კაცი. 29 აგვისტოს ქალაქ სიღნაღში მოხდა ამავე საბჭოში გასაგზავნად რწმუნ ბულთა არჩევნები—წვრილ მესაკუთრე დროებით ვალდებულ გლეხთა და მხ მემამულეთაგან. სულ სიღნაღის მაზრამ ღნაღითურთ ამოარჩია ოცდა ხუთი კა

რაც ხანი ერობის შესახებ დაიწყო ა ლაპარაკი, ხალხს რაღაცა მოძრაობა, ან გაცვლა-გამოცვლა და სიფხიზლე დაეტყ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენებური გლ ხობა მეტად შეგნებულად მოქმედებდა არკვევდა, თუ რას მოუტანს ხალხს ეს რა ღაცა ერობაა. როდესაც ხალხმა გაითვა ლისწინა, რას წარმოადგენს დღევანდე პირობებში ერობა, რა მალამოს დასდე მის წყლულს, თითქმის ყოყმანში იყო ერ ბის შემოღებაზე იმ სახით, რა სახითაც მ ლა უნდათ შემოიტანონ იგი. ხალხმა უ რო ღრმად და ფართოდ შეხედა ერობ და, სწორედ მოგახსენოთ, გამიკვირდა, რო დესაც ხალხს ერობაზე უფრო ნათელი წა რმოდგენა ჰქონდა, ვიდრე ჩვენ მოველო დით. ამას ვამბობ იმიტომ, რომ რამდენიმ მე დღის განმავლობაში მთელი მაზრის თა მოყრილ გლეხობასთან მქონდა საუბარი შეგნებულად სჯიდნენ ერობის მნიშვნელო ბაზედ.

1 სექტემბერს სიღნაღში სამხედრო ს კრებულოში მოიყარეს თავი მთელის მაზრ წარმომადგენლებმა პ. მარშლის თანაშემწ მ. რ. ვაჩნაძის თავმჯდომარეობით. ამ დღე შეასწორეს და შეამოწმეს ამორჩეულთა სი ბი. წაკითხულ იქმნა ნამესტნიკის მიერ გა მოცემული საარჩევნო სახელმძღვანელო ცი რკულიარი. რამდენიმე შენიშვნის შემდე სხდომა გადაიდო 2 სექტემბრისათვის. მეო რე დღეს რა წამს შეიკრიბნენ რწმუნებუ ლნი, მოითხოვეს, კრება დახურულიყო: ტფილისიდან საზარელი ამბები მოვიდა და გულგრილად ბაასი ყოვლად მოუხერხებლ და სცნეს; რამდენმამე პირმა სასტიკი და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ტფილისში მომხდარ ამბების გამო და კრება დაიშალ 5 სექტემბრამდე. 5 სექტემბერს რწმუნე ბულთა გარდა დაესწრო ბლომა გარეშე ხა ლხიც, რომელსაც მიეცა რჩევითი ხმის უფ ლება. კრებაზე აღიძრა საკითხი, პირ დაპირ გადაისინჯოს 64 წ. დებულე ბა, თუ შევიმუშაოთ ადგილობრივ პი რობების მიხედვით ახალი პროექტი ერო ბისა. ბ-ნმა ლ. დარჩიაშვილმა ურჩია კრე ბას გადაეთვალიერებინა სხვა და სხვა შე მუშავებული პროექტი, მაგ. ქუთაისის პროექტი, და შემდეგ დამატებით თუ გა მოკლებით მიეღო რომელიმე. წაკითხუ იქმნა ქუთაისში შემუშავებული პროექტ სხვათა შორის, ბ-ნი ლ. დარჩიაშვილი შე კითხა კრებას, რომ მის მიერ შემუშავე ბული პროექტიც გაეცნო და შემდეგ მიეღო კრებას, რომელიც მოწონებულ იქნებოდა. წაკითხულ იქმნა ორივე პროექტ კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა არ ჩეულ იქმნას კომისია 5 კაცისაგან, რო მელსაც დაევალა გადაეთვალიერებინა ყველ პროექტი და წარედგინა კრებისათვის ერთ შემუშავებული პროექტი. კომისიაში მოხ ყვნენ ბ-ნნი ლ. დარჩიაშვილი, დ. ქიტია შვილი, დ. გოგაშვილი, პ. გელაშვილი და თ. კველიშვილი. ამის შემდეგ კრება დაი შალა.

კომისია შეიკრიბა მეორე დღეს 6 სექ ტემბერს, გადაათვალიერა სხვა და სხვა პროექტი და, სხვათა შორის, ლ. დარჩია შვილის პროექტიც. ბევრი სჯა-ბაასის შემ დეგ ზოგი რამ დამატებით და გამოკლები მიიღო ეს პროექტი. კომისის სხდომას დაესწრო რამდენიმე გარეშე პირიც, რო-

---

ფელეტონი

როგორი უნდა იყოს მიწის მფლობელობა

(დასასრული *)

ის აზრი, რომ მიწა კომუნების (თემების) და არა სახელმწიფოს საკუთრებად უნდა გახდეს, განსაკუთრებულის სიმტკიცით „ინტერნაციონალი“-ს მიერ იყო აღიარებული. ბაზელის კონგრესმა (1869 წ.) შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „1. კონგრესი აღიარებს, რომ საზოგადოებას უფლება აქვს მოსპოს მიწის კერძო საკუთრება და მის ადგილას საზოგადო მფლობელობა დაამყაროს; 2. კონგრესი აღიარებს, რომ ამგვარ ტრანსფორმაციას საზოგადოების ინტერესი მოითხოვს“. რაც შეეხება იმას, თუ რანაირად უნდა მოხდეს ეს ცვლილება, კონგრესი გადაჭრით არას ამბობს: „აღიარებს რა მიწის საზოგადო მფლობელობის პრინციპს, კონგრესი ყველა სექციას სთხოვს შეიმუშაოს საკითხი, თუ რა პრაქტიკული საშუალებით განხორციელდება იგი პრინციპი“-ო. მესამოცე წლებში რუსეთის სოციალისტურ წრეებშიაც სოციალიზაციის და არა ნაციონალიზაციის საკითხი ჰქონდათ წამოყენებული. 1862 წ. „ახალგაზრდა რუსეთმა აღიარა: თითოეული ოლქი შესდგება მიწის მომქმედთა თემებისაგან... მიწა, რომელიც მიეცემა თემს თვითოეულ წევრს, მიეცემა რამდენისამე წლის ვადით და არა სამუდამოდ. ვადის გათავების შემდეგ თემი მიწას ხელმეორედ გადამიჯნავს.“ 1868 წ. „ხალხის საქმე“-ში გამოცხადებულია; „მიწა მხოლოდ იმათ ეკუთვნით, ვინც თავის ხელით ამუშავებს, ე. ი. მიწის მომქმედთა თემებს“-ო. 1875 წ. ნაბათმა გამოაცხადა: „გლეხთა თემები კომუნალურ-თემებად უნდა გადაკეთდეს, სადაც საწარმოო იარაღის საზოგადო მფლობელობასთან ერთად შრომის ორგანიზაციაც საზოგადო გახდება“-ო.

თანამედროვე ევროპის დემოკრატიული პარტიები ასე თამამად არ აღიარებენ მიწის სოციალიზაციის პრინციპს. როდესაც მიწის, ტყის, მადნეულობის მფლობელობის შესახებ აქვთ ლაპარაკი, ისინი სოციალიზაციას ნაციონალიზაციას ამჯობინებენ. სოციალიზაციის ნიადაგზე მხოლოდ მაშინ დგანან, როდესაც აღიარებენ კომუნარულ მფლობელობის (თემების) აღდგენის ან გაფართოების საჭიროებას და ამ მხრივ ევროპის და რუსეთის ს.-დემოკრატთა შორის ძირითადი განსხვავებაა. ასე მაგალ. ნანტის კონგრესზე (საფრანგეთში) დაადგინეს: სოფლის საზოგადოებათ მიეცეთ განსაკუთრებული უფლება სახელმწიფო მიწების საიჯაროდ აღებისათვის. უნდა გაფართოვდეს სოფლის საზოგადოებრივი საკუთრება. ამისათვის კომუნარულ ბიუჯეტის ზედმეტი მოგება ამ საზოგადოებათ უნდა მოხმარდეს. კომუნებს უნდა აღეკრძალოთ იმ მიწების გაყიდვა, რომელიც სოფლის საზოგადოებათ ეკუთვნის, და სხვა.

ბელგიელთა ს.-დ. პროგრამაში (ბრიუსელის და გენტის კონგრესზე შემუშავებული) ორ ელემენტს ვხედავთ, კომუნალურს და სახელმწიფოურს. მიწა პროგრესიულად უნდა იყოს გამოსყიდული სახელმწიფოს ან კომუნის მიერ. პროგრამა აღიარებს აგრეთვე ტყეების ნაციონალიზაციას და საზოგადოებრივ ქონების განვითარების საჭიროებას. ამ ორ ელემენტს ავსტრიის პარტიის რეზოლიუციაშიაც ვხედავთ: ტყის, საძოვრის და წყლის ძალთა გასაზოგადოებრივება სახელმწიფოს, სოფლის ან სოფლის საზოგადოების შემწეობით უნდა მოხდეს, ხოლო რუმინელები უფრო იმის მომხრენი არიან, რომ მარტო სახელმწიფომ გამოისყიდოს თანდათან დიდ მემამულეთა მიწა. ყველა ამ პროგრამებში ვპოულობთ ერთ საგანს, რომელსაც სრულიად არა აქვს ადგილი რუსეთის ს.-დ. პარტიის აგრარულ პროგრამაში. აქ ვხედავთ სურვილს თემების, კომუნარულ საკუთრების აღდგენისას და აქვე ვპოვებთ მიწის მფლობელობის რადიკალურად გადაკეთების საჭიროების აღიარებას.

როგორც ვსთქვით, ჩვენ მომხრენი ვართ მიწის სოციალიზაციისა და არა იმისი, რომ მიწა ან რენტა სახელმწიფოს ხელში ჩაუვარდეს. დემოკრატიული სახელმწიფო ჩვენ თვალში კლასობრივ ბურჟუაზიული წყობილებაა. ადვილად შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში სწორედ ამგვარი წყობილება დამყარდეს რუსეთში. ხოლო რადგან მიწის გასაზოგადოებრივება უნდა განხორციელდეს დღესვე, ბურჟუაზიულ ხანაში, ამ განხორციელებას ვერ ვანდობთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს...

ეხლა საჭიროა გათვალისწინება იმ საკითხისა, თუ რამდენად შესცვლის მიწის სოციალიზაცია არსებულ ცხოვრებას, სიმდიდრის და საწარმოო იარაღის უსამართლო განაწილებაზე დამყარებულ ცხოვრებას. პრობლემა ამნაირია. ვთქვათ, მიწის მომუშავეთ ჩაიგდეს ხელში მთელი მიწა და საზოგადოებრივი მფლობელობა განაწესეს. განა გაუმჯობესდება ძირიანად მათი ეკონომიური მდგომარეობა, დანარჩენი პირობები ჩვენი სოციალურ ცხოვრებისა რომ ისევ უცვლელი დარჩეს ე. ი. გაჭრობა-მრეწველობის პირობები რომ არ შეიცვალოს, ქარხანა რომ ისევ კაპიტალისტის ხელში იყოს და სავაჭრო კაპიტალი ბანკის პატრონის ხელში? ცხადია რომ მუშის ექსპლოატაცია ძირიანად მხოლოდ მაშინ მოისპობა, როდესაც სოფელშიაც და ქალაქშიაც გაუქმდება კერძო საკუთრება, როდესაც მიწაც, ქარხანაც და ყოველგვარი საწარმოო იარაღი მშრომელთა ამხანაგობათ გადაეცემათ. ხოლო მიწის სოციალიზაციას მაინც ფრიად დიდი მნიშვნელობა ექნება, იგი რომ სრულ გამარჯვებამდინაც მოხდეს. როდესაც მიწა საზოგადოებრივ კუთვნილებად შეიქმნება, მიწის მომუშავე, ნახევრად განთავისუფლებული ადამიანი გახდება. მიწის კერძო მფლობელობისაგან გამოწვეულ დამონებასა და ადამიანის შებოჭვას ძირი გამოეთხრება. ხოლო მიწის სოციალიზაცია დააშურებს კაპიტალის გასაზოგადოებრივებასაც. „ჩვენ საზოგადოებაში უეჭველია ისე ვიწროდ არის ერთმანეთში დაკავშირებული, რომ ხელს ვერ ახლებთ მეურნეობის ერთ რომელსამე დარგს ისე, რომ სხვა დარგებსაც არ დაეტყოს ცვლილება. მოისპობა თუ არა კერძო საკუთრება ერთ რომელსამე დარგის ფარგლებში—იგი აუცილებლად მოისპობა დანარჩენ დარგებშიაც“ (კრ.). ასე რომ კერძოობითი მოსპობა საკუთრებისა არ უნდა გვაღონებდეს. პირიქით, მიწის გასაზოგადოებრივებას აუცილებლად მოჰყვება ყველა საწარმოო იარაღის გასაზოგადოებრივება, მოჰყვება საზოგადო ექსპროპრიაცია კაპიტალისა და ყველა იმისა, რაც ადამიანთა დასამონავებელ იარაღად არის გამხდარი.

როცა ჩვენ ვამბობთ, მიწა საზოგადოებრივ საკუთრება უნდა გახდეს, ჩვენ ვგულისხმობთ მთელ მიწას, ტყეს და ყოველსავე სიმდიდრეს, რომელიც მიწაშია ჩამარხული. ჩვენ ვგულისხმობთ აგრეთვე მიწას, რომელზედაც ქალაქებია გაშენებული, მაგრამ ვიცით, რომ ამ მიწის თითქმის 3/4 დღეს მესაკუთრეთა ხელშია. ხოლო დიდ და საშუალო სივრცის საკუთრებას აქ პირველი ადგილი უჭირავს, წვრილ მესაკუთრეთ ხელში-კი მიწის უმცირესი ნაწილია. რანაირად უნდა მოხდეს ახლა ამ მიწების გასაზოგადოებრივება? რადგან ლეგალურის საშუალებით, როგორც ზემოდ განვმარტეთ, იგი ვერ მოხდება, აშკარაა ძალდატანებით უნდა მოხდეს. მაშ ვის უნდა ჩამოერთვას მამული? ყველა მესაკუთრეს თუ მარტო დიდ და საშუალო ხარისხისას? ჩვენის აზრით, უნდა ჩამოერთვას (უფასოდ) იმ სხვილ და საშუალო ხარისხის მემამულეთ, რომელნიც მოჯამაგირენი ჰყავთ და თავიანთ მიწას დაქირავებულ შრომით ამუშავებენ. ხოლო წვრილ მესაკუთრეს ხელი არ უნდა ვახლოთ, რადგან იგი არამც თუ არავის სჩაგრავს დაქირავების ან სხვა რაიმე საშუალებით, არამედ თითონ არის დაჩაგრული მევახშისა და სხვილ მემამულისაგან. წვრილი მესაკუთრე, როდესაც მის გარშემო მიწა გასაზოგადოებრივებული იქნება, დარწმუნდება, რომ მისი ინტერესიც მოითხოვს საერთო მოძრაობას ფეხი აუწყოს და რაკი ნახავს, რომ საზოგადოებრივი მფლობელობა, რომელსაც სა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც“. № 2909

მელთაც მიიღეს მონაწილეობა პროექტის განხილვაში. დიდი კამათი გამოიწვია მესამე მუხლის პირველმა ფრაზამ—„ვიდრე კავკასია მოიპოვებდეს სრულს ავტონომიას“. კენჭის ყრით მიღებულ იქმნა მესამე მუხლი სავსებით.

7 სექტემბერს, თუმცა საბჭოში მიიღო მონაწილეობა ნახევარზედ ნაკლებ რწმუნებულმა, მაგრამ კრება მაინც შესდგა. დაიწყო განხილვა კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტის ცალკე მუხლებისა. როგორც კომისიის სხდომაზე, ისე ამ კრებაზედაც დიდი კამათი გამოიწვია მესამე მუხლის პირველმა ფრაზამ—„ვიდრე კავკასია მოიპოვებდეს სრულს ავტონომიას“. პირველად ილაპარაკა ბ-ნმა დარჩიაშვილმა და მშვენიერის დასაბუთებულის სიტყვით დაამტკიცა, რომ მოხსენებული ფრაზა არავის და არაფერს არ ეწინააღმდეგება, რომ ავტონომია აუცილებელი პირობაა ერთა-შორის სოლიდარობის და ძმობის განმტკიცებისა და არ ეწინააღმდეგება ს.-დემოკრატიულ პრინციპებს; რომ არც ევროპაში და არც ჩვენში დღეს შეგნებული ს.-დემოკრატი უარს არა ჰყოფს ერების ავტონომიას, თუ გვინდა, რომ მოვსპოთ ერთა-შორის მტრობა—სიძულვილი და სახელმწიფოს ცხოვრება ჩადგეს ნორმალურს კალაპოტში. ამავე საგანზედ ილაპარაკეს ბ-ნთ თ. კველიშვილმა, მ. ნასიძემ და სხვებმაც, რომელთაც ასეთივე აზრი გაატარეს თავიანთ სიტყვებში. ბ-ნნი კ. ანდრონიკაშვილი, ბ. ჟონაშვილი და ბ. გელაშვილი ამტკიცებდნენ, რომ თუ შევხედავთ პროლეტარის თვალით, ავტონომია ერებისა მავნებელია, ვინაიდან კავკასია შორდება დანარჩენ რუსებს, სწყვეტს შინაურს კავშირს და ამით პროლეტარს აკლდება ძალა, შორდება რუსეთის პროლეტარს და ირღვევა სრულიად რუსეთის პროლეტარის ერთობა, მაშინ როდესაც ჩვენ ვცდილობთ მოვსპოთ ყოველგვარი დამაბრკოლებელი მიზეზები მათის შეკავშირება-შეერთებისა, ერთი რომელთაგანიც არის კავკასიის დაშორება რუსეთისაგან ანუ ავტონომია კავკასიისა. ამისათვის ჩვენ უარს ვყოფთ პირველ ფრაზას მესამე მუხლისას და მის მაგიერად ჩავურთოთ შემდეგი ფრაზა: ფართო კავკასიის თვით-მმართველობაო. ბ.ნმა ლ. დარჩიაშვილმა გასცა პასუხი და დაამტკიცა, რომ სწორედ პროლეტარიის ინტერესი მოითხოვს, რომ გაკაფულ იქმნას გზა და მოსპობილი ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზი პროლეტარის თვით შეგნებისა, ეს არის თანასწორი უფლებები ყველა ერთა, ანუ ავტონომია ერებისა. მხოლოდ თანასწორ ერთა პროლეტარს შეუძლიან ერთობა და საერთო იდეალისაკენ ერთად სვლა· ვიდრე არ მოისპობა ერთა შორის უთანასწორობა, სხვა და სხვა ერის პროლეტარი ვერ შეჯგუფდება ერთად, საერთო მოქმედებისათვის, რადგან ვერც ერთი ერის პროლეტარი გულწრფელად ვერ უყურებს, თუ როგორ სთელავენ ფეხქვეშ უფლებებს და ინტერესს იმ ხალხისას, რომელმაც იგი წარმოშობაო. შეერთება მონისა და უფლისა ყოვლად შეუძლებელიაო.

ამ მესამე მუხლის პირველ ფრაზას მოუნდა თითქმის მთელი სხდომა. შემდეგ კენჭი უყარეს პირველ ფრაზას მესამე მუხლისას და აღმოჩნდა 7 მომხრე და 7 წინააღმდეგი. მეორე ნახევარი ამავე მუხლისა ერთხმად იქმნა მიღებული. შემდეგ კენჭი უყარეს მთელ მესამე მუხლს და მიღებულ იქმნა სავსებით (7 ხმა 4 წინააღმდეგ). სამმა კაცმა უარი განაცხადა კენჭის ყრაში მონაწილეობაზე. კრებამ გადაიდო საღამოსათვის და მიღებულ იქმნა კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი. ამავე საღამოს ამოარჩიეს საგუბერნიო საბჭოში გასაგზავნად 5 კაცი: ბ-ნნი კ. დარჩიაშვილი, ი. მ. გომელაური, ლ. ახმეტელაშვილი, დ. გონაშვილი და კ. ანდრონიკაშვილი.

განწირული.

P. S. აქვე მოგვყავს საერობო დებულების პროექტი:

პროექტი

საერობო (ადგილობრივ თვითმმართველობის) დებულების უმთავრეს მუხლთა, შემუშავებული სიღნაღის სამაზრო კრების მიერ.

I საერობო დებულებათა ტერიტორია.

1. საერობო დაწესებულებათა ტერიტორიას შეადგენს: ა) დაბალი საერობო ერთეული, (სოფლის საზოგადოება, ქალაქი) მაზრა და გუბერნია.

2. სოფლის საზოგადოებას თუ ქალაქს სრული უფლება ექნება შეუერთდეს ხოლმე დროებით ერთს ანუ რამდენიმე სოფლის საზოგადოებას თუ ქალაქს რაიმე განსაზღვრული, საერთო საქმის განსახორციელებლად საერობო დებულების ფარგალში. აგრეთვე მაზრასა და გუბერნიასაც უფლება ექნებათ შეუერთდნენ ხოლმე ერთსა ანუ რამდენსამე მოშიჯნეს მაზრასა თუ გუბერნიასა დასახელებულ მიზნის განსახორციელებლად, დასახელებულსავე პირობებში.

3. ვიდრე კავკასია მოიპოვებდეს სრულ ავტონომიას, იარსებებს ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიათა მუდმივი კავშირი, რომლის ორგანო იქმნება ამიერ-კავკასიის საოლქო სეიმი.

შენიშვნა: ა) საოლქო სეიმს ექნება ზოგიერთი საკანონმდებლო ფუნქცია (სწავლა-განათლების სფეროში, სასამართლოების მართლ-მსაჯულების მოწყობის საქმეში) საოლქო სეიმის კომპეტენციაშივე შედის ამიერ-კავკასიის საერობო (საადმინისტრაციო)ტერიტორიის საბოლოვო გამიჯვნა; ბ) კავკასიის ადგილობრივ, უმაღლესს მთავრობის ცირკულიარები, ინსტრუქციები და განკარგულებანი რომ სისრულში მოდიოდეს, მათ უნდა ეძლეოდეს კავკასიის საოლქო სეიმის გამგეობის სანქცია.

II თვითმმართველობის ორგანოები და მათი ორგანიზაცია.

4. ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებია: დაბალ საერობო ერთეულის, მაზრისა და გუბერნიის საბჭოები, მამასახლისთა კრებული, სამაზრო და საგუბერნიო გამგეობანი.

5. დაბალ ერთეულის საბჭოს შეადგენენ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ არჩეული ხმოსნები. ესენი თავიანთ შორის ირჩევენ მოურავს, რომელიც თავმჯდომარეობს საბჭოს კრებას.

შენიშვნა: ხმოსნების რიცხვი განისაზღვრება მცხოვრებთა რაოდენობით, ისე-კი რომ მათი რიცხვი არ იყოს 20-ზე ნაკლები.

6. დაბალ ერთეულის აღმასრულებელი ორგანოა საბჭოს მიერ არჩეული მამასახლისთა კრებული, რომელთა შორის განაწილებულია გამგეობის სხვა და სხვა დარგი: ფინანსები, სკოლების საქმე, სამიმოსვლო გზები, წყალი და სხვა. მამასახლისთა კრებულს თავმჯდომარეობს მოურავი.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა მოურავი, საპატიო მიზეზის გამო დაბრკოლებული იქნება აღასრულებდეს თავის მოვალეობას, მის თანამდებობას ასრულებს ნამსახურობით უფროსი მამასახლისი. უკეთუ ამ მხრივ (ნამსახურობის მხრივ) თანასწორობაშია ორი ან რამდენიმე მამასახლისი, უპირველესობა ეძლევა იმას, ვისაც მეტი ხმა ექნება მიღებული არჩევნებზე.

ხოლო საბჭო კი თავისთვის ირჩევს დროებით თავმჯდომარეს.

7. სამაზრო და საგუბერნიო საბჭოს შეადგენენ მაზრისა და გუბერნიის მცხოვრებთა მიერ არჩეული ხმოსნები. ესენი თავიანთ შორის ირჩევენ საბჭოთა თავმჯდომარეებს.

შენიშვნა: ხმოსანთა რიცხვი განისაზღვრება მცხოვრებთა რაოდენობით, იმ პირობით-კი, რომ მათი რიცხვი იყოს არა ნაკლებ 40 მაზრაში და არა ნაკლებ 100-სა გუბერნიაში.

8. სამაზრო და საგუბერნიო საბჭოთა აღმასრულებელი ორგანოა სამაზრო და საგუბერნიო გამგეობანი, რომელნიც თვითონვე ირჩევენ თავმჯდომარეს თავის წევრთა შორის.

შენიშვნა: ა) თვითმმართველობის ორგანოებს სრული უფლება აქვთ საჭიროების მიხედვით შეადგინდნენ სპეციალისტებისაგან განსაკუთრებულ კომისიებს სხვა და სხვა საკითხების გამოსარკვევად (სატეხნიკო, სასკოლო, სამკურნალო, სასტატისტიკო და სხვა), ბ) კომისიაში მონაწილეობას იღებენ გამგეობათა წევრნი და ხმოსნები, არჩეულნი თავთავის საბჭოთა და გამგეობათა მიერ; წარმომადგენელნი ერობის სამსახურში მყოფ სპეციალისტებისა (ტეხნიკოსები, მასწავლებელნი, აგრონომები და სხ.), არჩეულნი თავის ამხანაგთაგან; აგრეთვე გარეშე მცოდნე პირნი, მოწვეულნი თვით კომისიის მიერ.

9. კავკასიის საოლქო სეიმს შეადგენენ კავკასიის მიერ არჩეულნი დეპუტატები, რომელთა რიცხვი შესდგება იმ ანგარიშით, რომ მცხოვრებთა საერთო რიცხვის ყველა 20,000-ზე მოდიოდეს ერთი დეპუტატი.

შენიშვნა: ხმოსნები და დეპუტატები ირჩევიან 3 წლის ვადით.

10. საარჩევნო უფლება, როგორც აქტიური, ისე პასიური, ასარჩევად ხმოსნებისა და დეპუტატებისა, დაბალ საერობო ერთეულ, გუბერნიის საერობო დაწესებულებათა და საოლქო სეიმში ეკუთვნის ყველა მამულიშვილს, ასაკით არა ნაკლებ 20 წლისა, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, ქონებისა და ეროვნებისა.

შენიშვნა: კავკასიის არა მკვიდრთაგან, საარჩევნო უფლება ეძლევათ: 1) დაბალ საერობო ერთეულის დაწესებულებათა არჩევნებზე ყველა იმათ, ვისაც დასახელებულ ტერიტორიაზე უცხოვრია არა ნაკლებ 6 თვისა; 2) სამაზრო და საგუბერნიო არჩევნებზე არა ნაკლებ 1 წლისა; 3) საოლქო სეიმის არჩევნებზე—ვისაც კავკასიაში უცხოვრია არა ნაკლებ 2 წლისა.

11. საარჩევნო უფლებას მოკლებულნი არიან: მოქალაქეობის მხრივ უნიჭონი (მცირე წლოვანნი, აპეკუნების ქვეშ მყოფნი სულიერად ავადმყოფნი) ცენტრალურ მთავრობის აგენტები, სასამართლო პროკურატურის წევრნი, პოლიციისა და ჟანდარმერიის მოხელენი; სამღვდელო-სასულიერო პირნი, სისხლის სამართალში მიცემულნი და შერცხვენილნი (ვისაც უჭირავს საროსკიპო სახლი ანუ ეწევა საროსკიპო მაჭანკლობა-შუამავლობას).

12. არჩევნები არის პირდაპირი, კენჭის ყრა ფარული.

13. ადგილობრივ თვით-მმართველობის ორგანოები თვითონ ნიშნავენ ყველა საადმინისტრაციო და საპოლიციო მოხელეებს, რომელნიც იმყოფებიან ამ ორგანოების სრულ მორჩილებასა და განკარგულებაში. მათ მიერ დანიშნულ მოხელეებს, ისე, როგორც არჩეულ სხვა და სხვა თანამდებობის პირთ, არ ესაჭიროებათ ცენტრალურ მთავრობის დამტკიცება.

14. ხმოსნები თუ დეპუტატები კრებებზე ხმარობენ იმ ენას, რომელზე ლაპარაკიც მათ ეხერხებათ (ასეთი ენა ნორმალურ ადამიანისათვის, რასაკვირველია, არის სამშობლო ენა); ხოლო ნალაპარაკევი ითარგმნება უმრავლესობისათვის გასაგებ ენაზე.

15. თვით-მმართველობის ორგანოთა და საოლქო სეიმის სხდომის ხანგრძლიობა (სესსიები) განისაზღვრება ამავე ორგანოთა დადგენილებებით.

(დასასრული იქნება)

რუსეთის ქრონიკა

პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმის განხილვა. მიმდინარე წლის 7 დეკემბერს იკუტსკის ოლქის სასამართლო განიხილავს პოლიტიკურ დანაშაულობისათვის გაგზავნილ ბაიკოვის, ბასსის, სიდოროვის, ვერხოტუროვის და დზერჟინოვსკის საქმეს. ამათ ის ბრალი ედებათ, რომ შეიარაღებულნი თავს დაესხნენ ისპრავნიკს სრედნე-კოლიმსკში და მოუთხოვნიათ გაუსინჯავად მიეცათ იმათ სახელზე ფოსტით მოსული წერილები. „ნ. ჟ.“).

სასჯელი ხალხის წაქეზებისათვის. ადესაში 10 წლის კატორღა გადაუწყვეტიათ სლობოდსკოისათვის „მოხელეთა წინააღმდეგ ბრბოს წაქეზებისათვის“. („ნ. ჟ.“).

მუშათა საზოგადოების გამოცემანი. ხარკოვში რამდენსამე მუშას გადაუწყვეტია დროებით ბროშურების გამოცემა მუშათა საკითხის შესახებ, „პროფესიონალ“-ის სახელით. პირველი წიგნი უკვე ნება დართულია თურმე ცენზორისაგან და გამოიცემა ამ სათაურით: „რით შეუძლიანთ შენობის მუშათ გააუმჯობესონ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობა“. (ნ. ჟიზნი).

პოლკოვნიკი სამართალში. 6 სექტემბერს კირასირის პოლკის ლეიბ-გვარდიის პოლკოვნიკს აკენარიუსს ჩაჰბარდა პეტერბურგის სამხედრო სასამართლოს საბრალდებლო ოქმი. აკენარიუსს ბრალდება ის, რომ 24 ივლისს შეუნიშნავს პოლკში რაღაც უწესობება და გაჯავრებულს ერთი სალდათის შარვლისთვის ისე მაგრა შემოუკრავს სილა, რომ ტვინში სისხლი აჰვარდნია და 25 ივლისს გარდაცვლილა. გარდა ამისა აკენარიუსს იმავე დღეს იმავე პოლკში განზრახ უცემია მეორე სალდათის ბოიკოსათვის. (რ. გაზ.).

გლეხთა აგრარული მოძრაობა. ალექსანდროვსკის მაზრაში მეტად გაძლიერებულა აგრარული მოძრაობა: გლეხები არა თუ შეძლებულ მემამულეებს, მცირე მამულიანთ და ახალშენელ გერმანელთაც ემუქრებიან და მამულების ჩამორთმევას უქადიან თურმე ყველა მესაკუთრეებს. უფრო საშიშ მდგომარეობასა და განსაცდელში ბეკკერის მამული თურმე. მაზრაში გაუგზავნიათ ყაზახ-რუსები. (რ. გაზ.).

აფეთქებულ ყუმბარის მსხვერპლნი. 3 სექტემბერს პინსკში აფეთქებულ ყუმბარას მოუკლავს ერთი ახალგაზდა ყმაწვილი და დაუჭრია ორი კაცი. ყუმბარა ჯიბეში ჰქონია დამალული ყმაწვილ კაცს. (რ. გაზ.).

სწავლის ნიშნების მოსპობა სასწავლებელში. საერო განათლების სამინისტროს განკარგულებით მოისპობა ყოველდღიური ნიშნების დასმა სასწავლებლებში. სწავლის დასაფასებლად-შესამოწმებლად, დარჩება მხოლოდ წლიური და წლის მეოთხედების ნიშნები. (ს, სტ,).

აგრარულ მოძრაობის საქმის განხილვა. ქალაქ გლუხოვში 5 სექტემბერს კიევის სასამართლოს სესსიას განუხილავს აგრარულ არეულობის საქმე, გამოწვეული ტერეშჩენკოს მილიონ ნახევრიან შაქრის ქარხნის თავდასხმა-აკლებისა გამო. ამ საქმეში 100 ბრალდებული და 600 მოწმე ყოფილა. (ნ. ჟ).

სოციალ რევოლუციონერ პარტიის მომხრენი. 23 სექტემბერს პეტერბურგის სამოსამართლო პალატაში განიხილეს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტის გერასიმოვისა, სამხედრო აკადემიის სტუდენტის ნიკიტინისა, უმაღლეს კურსების მსმენელ ქალთა სოლოვიევისა და მანაევის და შვიდი მატროსის საქმე იმის შესახებ, რომ ამათ მიუღიათ მონაწილეობა სოციალ-რევოლუციონერთა საზოგადოებაში აწ არსებულ წეს-წყობილების დასარღვევად. ესენი კრონშტადტის მატროსებსა და სალდათებს შორის მთავრობის საწინააღმდეგო თხზულებებს ავრცელებდნენ თურმე. (რ. გ.“).

„გიორგი პობედონოსეც“-ის მატროსები დოროფეე კოშუბა და სიმონ დიმკა დახვრიტეს 3 სექტემბერს სევასტოპოლში (ნ. ჟ.).

პოლკოვნიკის დაჭრა. ვიატკაში 3 სექტემბერს დასჭრეს ჟანდარმთა პოლკოვნიკი. (ნ. ჟ.).

აგრარული მოძრაობა-უწესოებანი ისევ ატეხილა სურაჟის მაზრის ს. ტვარიშჩინოში. (ნ. ჟიზ.).

სომხების შეპყრობა თოფ-პატრონების გაგზავნისთვის. ყაზანიდან მიღებულ ცნობის თანახმად, იქ დაჭერილი სომხები შუშელები გამომდგარან. იმათ ტრანსპორტათ 80 თოფი გაუგზავნიათ, ხოლო აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში—20,000 ცალი პატრონი. (რ. სლ.).

სპექტაკლები პოლონურ ენაზე. მაგილევში 43 წლის აკრძალვის შემდეგ განახლებულა პოლონური წარმოდგენები. ვარშავის პოლონური დასი ამ ჟამად იქ წარმოდგენებს მართავს და ხალხი ბუზივით ეხვევა თურმე. („რ. სლ.“).

პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის საქმე. 5 სექტემბერს ადესის სამხედრო სასამართლომ გაარჩია ეკატერინოსლავში ხალხის დაუსწრებლად—საქმე პეტერბურგის პრივატ-დოცენტის ტახ-ჩოგლოვისა, რომელსაც ბრალდებოდა პოლიციის ბოქაულის მოკვლის განზრახვა. იცავდა ბრალდებულს ნაფიცი ვექილი მაკლაკოვი. სასამართლომ ტახ-ჩოგლოვს გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა, მაგრამ ამასთან დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ ეს სასჯელი 15 წლის კატორღით შეუმსუბუქდეს. („ნ. ჟ“).

მოტყუებით ხელის მოწერა. ვიტებსკის გუბერ. სოფელ სებეჟში იქაურ მებატონეს ნ-ს ძალდატანებით და მოტყუებით ხელი მოუწერინებია სოფლის ერთობისთვის წინათვე შედგენილ განაჩენზე, რომელშიაც, სხვათა შორის, ეწერა თურმე: „ჩვენ ყველანი მზადა ვართ ვიომოთ.. ჩვენ ყველაფრით კმაყოფილნი ვართ... არც რესპუბლიკა, არც სხვა რამე არ გვეწადინება და არცა თხოულობთო‘... ხელი-კი მოაწერეს თურმე ამ ქაღალდზე, მაგრამ მისი შინაარსი არ იცოდნენ. როცა გაიგეს, რომ ისინი ვითომ ამის განკრძალებას თხოულობენ, მიუცვივდნენ მებატონეს და დაუწყეს უგვარი, ლანძღვა-გინება, მუქარა და უკანვე მოსთხოვეს ხელ მოწერილი ქაღალდი. იმ ხანებში ზავის ხმაც გაისმა და ძლივს დამშვიდნენ თურმე გლეხები. („ბ. გაზ.“).

წერილები

ქალ. ურმია. (სპარსეთი) ამერიკელების „კალე“ ურმიის თაიგულია. მდებარეობს სირიის მთის მახლობლად, დასავლეთით, ურმიიდან ორ ვერსის მანძილზე. ეს ვეებერთელა ეზო, ზომით 50 დესეტინა, რომელსაც გვერდით ჩამოუდის მდინარე, შესანიშნავ ბაღად ითვლება მთელ ურმიაში. ამ ეზოშია სემინარია, აგრეთვე საავადმყოფოები 100 საწოლით. აქ ნახავთ ავათმყოფს შიიტს, სუნიტს, ებრაელს, ქრისტიანს. ყველას პატივით და თანასწორად ეპყრობიან. უმრავლესობას კი მუქთად სწამლობენ. 60 წელიწადია, რაც ამერიკელების მისსია დაფუძნებულია ქ. ურმიაში და დიდი თანაგრძნობაც დაუმსახურებია საზოგადოებაში. აგვისტოს 4 გარდაიცვალა სახელ განთქმული ექიმი კოჩრანი (ამერიკელი), დაბადებული აქვე, ურმიაში. ამ დიდს შესანიშნავ ექიმის კუბოს თავს დასტიროდა 10 ათასზე მეტი სხვა და სხვა სარწმუნოების ხალხი. ეს ვეებერთელა ეზო გაჭედილი იყო საზოგადოებით. აქ ნახავდით: რუსებს, ქართველებს, სომხებს, ინგლისელებს, გერმანელებს, ფრანგებს, სპარსელებს, ქურთებს, სირიელებს და სხვა მრავალ სარწმუნოების ხალხს. მრავალი სიტყვა წარმოითქვა. შესანიშნავი იყო ეს უდროოდ გარდაცვალებული და უზომოდ მუშაკი ადამიანი. იგი ყველას, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, თანასწორად პატივსა სცემდა და უმრავლესობას უსასყიდლოდ აქიმობდა. წარსულ წელს, ხოლერის დროს დიდი სიმამაცე და მხნეობა გამოიჩინა. ეს შესანიშნავი კაცი უფროსად ითვლებოდა ამერიკის მისსიაში. საზოგადოება მას ყოველთვის თავმჯდომარედ ირჩევდა და მართლ-მსაჯული იყო. არ მოიძებნება რუსეთის ურმიის ოკრუგში ისეთი ქალი და კაცი, რომ არ აღმერთებდეს მას. ბევრი ახალგაზრდა სირიელი გაუგზავნია თავის ხარჯით ამერიკის უნივერსიტეტში.

ერთი მძიმე ავადმყოფი თუში—ქართველი—ბედის წერას ურმიაში ჩამოეყვანა, რომელსაც პატრონობა გაუწია ცხონებულმა ექიმმა,—მოარჩინა და შინ წასასვლელი ფულიც კი აჩუქა.

ქართველი ურმიაში.

ქ. ახალციხე. 20 აგვისტოს აქაურმა სცენის მოყვარეებმა დასდგეს ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში“. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო და შემოსავალიც კარგი უნდა ყოფილიყო. ყველა ეს კარგი, მაგრამ არ შეიძლება მკითხველს ყურადღება არ მიექცია ასეთ უცნაურ პიესის არჩევისათვის. დღეს სულ სხვა მოთხოვნილებაა და პიესაც სხვა უნდა დაედგათ.

აქაური საზოგადოება თავის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს საქალაქო ბაღში აგებულ „როტონდაში“, სადაც ცოლ-შვილიანი და უცოლ-შვილო, გა-

---

ზოგადოებრივი წარმოებაც მოჰყვება, მეტ ხეირს და კმაყოფილებას აძლევს კერძო იმას და მთელ საზოგადოებას, ფარჩხავს საკუთრების პრინციპს. რაც შეეხება იმ მემამულეთ, რომელთაც ჩამოერთმევათ საკუთრება, რანაირად მოექცევა საზოგადოება, უზღავს მათ თუ არა? ს.-დემოკრატები (მარქსი, კაუტსკი და სხვანი) იმ აზრისანი არიან, რომ სოციალურ რევოლუციის დროს მესაკუთრეთ უნდა უზღან წართმეული მამული ან კაპიტალი. „პროლეტარიატის რეჟიმი, ამბობს კაუტსკი,—ეცდება საზღაურის გზა არჩიოს“; მაგრამ აბა დააკვირდით, რა შედეგი მოჰყვება ამ გარემოებას, მიწის ჩამორთმევის დროს რომ საზღაურზე ჩამოვარდეს ლაპარაკი. ხალხმა უნდა საზოგადოებრივ კუთვნილებად გახადოს არამც თუ კერძო მემამულეთა მიწა, არამედ სახელმწიფო, საეკლესიო და საუფლისწულოც. ამ მიწების პატრონნი რომ ფულით დააკმაყოფილოს, საჭირო იქნება ფრიად დიდი თანხა, ხალხს კი ეს თანხა არა აქვს. და მის შოვნისათვის ან სახელმწიფოს ან კერძო ბანკირებს უნდა მიჰმართოს. ამგვარ საქმისათვის რომ ასესხონ კიდევაც ფული (რაიც საეჭვოა), ამნაირ სესხის შედეგი ეს იქნება. რომ ხელმეორედ დაწესდება „დროებითი ვალდებულება“, გლეხი კრედიტორის ხელში ჩავარდება და სანამ თავის სარგებლიანად არ გადიხდის, მისი [illegible] ყმა იქნება, და ამრიგად, სოციალიზაცია თავის მიზანს ვერ მიაღწევს და გლეხს დამონებისაგან ვერ გამოიყვანს, ასე რომ საზღაურზე ლაპარაკიც არ შეიძლება, თუ გვინდა, რომ სოციალიზაციამ რამე ნაყოფი გამოიღოს. მაშ რა ჰქნან მათ, ვისაც ჩამოერთმევათ მამული? ზოგს შვილი ჰყავს აღსაზრდელი, ზოგს ავადმყოფი ჰყავს, ზოგი სიბერისაგან ვერ მუშაობს, ზოგი მუშაობას არ არის დაჩვეული და „ინტელიგენტური“ მოთხოვნილებანი აქვს განვითარებული. ამ უკანასკნელისათვის ლიტერატურა, თეატრი, მუსიკა არის საჭირო. ნუთუ ყველაფერზე ხელი უნდა აიღოს და ხელები მიწის თხრაში ითხუპნოს? რაც შეეხება აღზრდას, ავადმყოფებს და მოხუცთ, მათ არავითარი ხიფათი არ მოელით. სოციალიზმის ძლიერება იმაშია, რომ იგი ჰუმანიურ და სამართლიანობის ნიადაგიდან არის აღმოცენებული. ვინც მოხუცს და მფარველობას ჰსაჭიროებს, [illegible] არ დარჩება. სოციალიზმი ექსპლუატატორებს, ხალხის მჩაგვრელებს ემუქრება და ომს უცხადებს; ბავშვებს, ავადმყოფებს და მოხუცებს კი, თუნდაც ისინი ბურჟუაზიულ და თავად-აზნაურულ წრიდან იყვნენ, აღზრდის, მოუვლის და შეინახავს. ხოლო მუქთა მჭამელთა ეპიკურიულის მიმდევრებისა კი რა მოგახსენოთ... მათ მშვენიერება სწყურიათ, მათი ყური სიმფონიურ ჰანგებს არის მიჩვეული, მათ პოლიტიკასა და ლიტერატურაზე უფრო სჯა-ბაასი თავის წრის ჯენტლმენებთან, ისინი კარგად სჭამენ, კარგად სვამენ, კარგად იცვამენ და უსაქმურად დაეხეტებიან. ამგვარ „ჯენტლმენების“ შენახვას, რასაკვირველია, საზოგადოება არ იკისრებს.

ამრიგად, ჩვენ მივედით უკანასკნელ დასკვნამდე, და ახლა, მეტი არ იქნება, მოკლედ ავღნუსხოთ ამ ფელეტონის შინაარსი, რათა უფრო ნათლად ვუთხრათ მკითხველისათვის, თუ რანაირად უნდა გადასწყდეს მიწის მფლობელობის საკითხი ჩვენში. ჩვენ აღვნიშნეთ შემდეგი. სოფელში სხვა და სხვა შეძლების მესაკუთრეთა შორის ქიშპობა და უთანხმოება: ქიშპობა არსებობს არა მარტო გლეხთა და თავად-აზნაურთა შორის, არამედ სხვა და სხვა შეძლების გლეხთა შორისაც. ამ უთანხმოებისა და ქიშპობის გამო გლეხობის ის ნაწილი იჩაგრება, რომელიც ბევრ მიზეზთა და განსაკუთრებით კი მიწის სიმცირის გამო სიღარიბეშია ჩავარდნილი და ამიტომ საშუალო და სხვილ მემამულეთა გამგებელ დამოკიდებულებაშია. ჩვენ ხელს ვუწვდით და ვეხმარებით სოფელში მხოლოდ ამ კატეგორიის გლეხობას და ვეუბნებით მათ: თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდება მხოლოდ მაშინ, თქვენს დაჩაგვრას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც სოფელში მოისპობა თვით მთავარი მიზეზი დამონებისა, ე. ი. როდესაც მიწა კერძო საკუთრების კუთვნილებად აღარ იქმნება და როდესაც იგი სოფლის საზოგადოებათა გადაეცემათ. სანამ ეს მთავარი მიზეზი თქვენის დამონებისა არ მოისპობა, უკეთეს ბედის იმედი ნუ გაქვთ. ზოგიერთი თქვენგანი ვითომც „კეთილის მოსურნე“ გარწმუნებთ, ჯერ ბატონყმობიდან დარჩენილი წესები გააუქმეთ, ეცადეთ მოიჯარადრეობის პირობები გააუმჯობესოთ, ეცადეთ დაიბრუნოთ „ჩამონაჭრები“ და დაიმკვიდროთ ნადელები საკუთრებათაო. გლეხობა მარტო ამას არ უნდა დასჯერდეს. ეჭვი არ არის, რომ ყველა ამას მოიპოვებენ, მაგრამ მარტო ეს ბედნიერებას არ დაამყარებს. ბატონ-ყმობის ნაშთების გაუქმება ძარცვა-გლეჯის გაუქმებას არ ნიშნავს. გაჭირვება ერთის მხრივ შემცირდება და მეორეს მხრივ გაძლიერდება. ეხლა თუ ფეოდალების კლანჭებში არიან, ბატონყმურ წესების მოსპობის შემდეგ, ფულიან ხალხის, ბურჟუაზიის მონობაში ჩავარდებიან, ხოლო კაპიტალის და ფულის უღელი ბატონყმობის უღელზე ნაკლებად შემზარავი არ არის. ამრიგად ეხლავე ძირი უნდა გამოუთხაროთ ბურჟუაზიულ წყობილებასაც. ზოგი იტყვის, სოფელი და გლეხობა უძლურია ამგვარი საქმე იკისროს. სოფელში რომ გააუქმდეს კიდევაც კერძო საკუთრება და მიწა საზოგადოებრივ კუთვნილებად გახდეს, ჯერ კიდევ არ მოისპობა გლეხის ექსპლუატაცია, რადგან ისინი მექარხნეების და, საზოგადოდ, კაპიტალის დამოკიდებულებაში დარჩებიანო. სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ სწორედ ეს ჭეშმარიტება გვაჩვენებს რაც შეიძლება მალე მოვახდინოთ სოფელში მიწის სოციალიზაცია. საჭიროა ძმური კავშირი და სოლიდარობა ქალაქის მუშებთან, პროლეტარიატთან. მიწის სოციალიზაცია, სოფელში კერძო საკუთრების გაუქმება დააჩქარებს სოციალურ ცვლილების მოახლოვებას. საქმე ის არის, რომ ხალხის ეკონომიური ცხოვრება ერთ მთელს წარმოადგენს. შეარყიეთ ამ ცხოვრების საფუძველი მეურნეობის ერთ ნაწილში და თქვენ დაინახავთ როგორ დაბარბაცდება მთელი შენობა და წყობილება. საზოგადო კუთვნილებად უნდა გახდეს ყოველ გვარი მიწა. მიწა უნდა ჩამოერთვას იმას, ვინც თავის ხელით არ ამუშავებს მას, დალასა და რენტას იღებს, ვისაც ჰყავს მოჯამაგირენი, ან მოხელენი მუშაობისათვის და დალის ასაკრებად. წვრილ მესაკუთრე გლეხობას ძალით არ უნდა ჩამოერთვას მიწა. ისინი არავის არ სჩაგრავენ და არ აწუხებენ, ხოლო როცა დაინახავენ საზოგადო მფლობელობის სარგებლობას, თითონ შეუერთდებიან სოფელს და თავიანთ მიწასაც საზოგადო მიწას მიუკედლებენ. ეს პროცესი აუცილებლად მოხდება, რადგან მიწის სოციალიზაცია შრომის სოციალიზაციის ნიადაგად შეიქმნება. და გასაზოგადოებრივებულ შრომის და წარმოების უპირატესობა ინდივიდუალურ შრომასა და წარმოებასთან შედარებით ხომ ისეთი აშკარა იქნება, რომ წვრილ მესაკუთრის პირდაპირი ინტერესი იქნება საზოგადო მოძრაობას აჰყვეს. ზოგი იტყვის: მიწის ექსპროპრიაცია ხომ უსამართლობას გამოიწვევს. უკმაყოფილოდ დააკლებს ეხლანდელ მესაკუთრეებსაო. მაგრამ ეს მოსაზრება უმნიშვნელოა. უსამართლობა ეხლა არსებობს. ხალხს არაფერი აბადია, სხვა კლასების წარმომადგენელთ კი ზოგიერთს ძლიერ ბევრი და უმრავლესობას იმდენი მაინც, რომ თავისთვის უშრომელად და კარგადაც სცხოვრობს. უსამართლობა აი სწორედ აქ არის. საჭიროა ყველას ჰქონდეს საშუალება, რომ ყველამ დაიკმაყოფილოს უსაჭიროესი მოთხოვნილებანი.

ნამდვილი სამართლიანობა სწორედ ეს არის. ყველამ უნდა იშრომოს, ყველამ უნდა შეიტანოს საზოგადო შრომაში თავისი წვლილი და არავის არაფერი არ დააკლდება. ხოლო მუქთა ხორის შენახვა კი არავისთვის სავალდებულო არ უნდა იყოს, ასე რომ ცრუ-ზნეობრივ ხასიათის საბუთებს არავითარი ფასი არ უნდა ჰქონდეს.

ა. კახელი

თხოვილი და გასათხოვარი, მოხუცი და ყმაწვილი საღამოს 9-დან დილის 4 საათამდე ლოტოს თამაშში ერთობა. მეორე დღეს მათის ლაპარაკის საგანი ის არის—ვინ რა მოიგო, ან წააგო. საღამო ხანზე ეს „ლოტისტები“ ხელ-ახლა იკრიბებიან ბაღში, რომ დილამდის იძახონ: „შესტი, ადინაცატ, სემი“. და ასე ყოველ დღე. როტონდაშივე არის გამართული ბილლიარდი, რაზედაც იქაური ინტელიგენცია ავარჯიშებს თავის ჭკუას და ჯიბეს. ამ ორთავე დაწესებულებათა: „სალოტო“ და „საბილლიარდოს“ დამფუძნებლებად ითვლებიან ქალაქის მამები. მგონი, უფრო სჯობია, ამ მამებმა თავიანთ შვილებს, რომელთა რიცხვი 18 ათასამდინ ადის, სკოლები დაუარსონ, რადგან ამოდენა ქალაქში 3 თუ 4 სკოლაა და ამათ შორის არც ერთი საშუალო სასწავლებელი არ არის. რასაკვირველია, ამნაირ მამებს, რომელთაც პროგრესი თავისებურათ ესმით, საშინლად ეუცხოვებათ ხალხის ინტერესები. ქალაქში რამდენიმე შეძლებული კაცია გაბატონებული. სძინავს ახალციხეს და მასთან ერთად მის მაზრასაც. ქართლში ან იმერეთში ნამყოფს და მერე აქ მოსულს ეგონება სხვა პლანეტაზე მოვხვდიო. **ბლეხტნიკა.**

—

ბათუმი. ბათუმი ჩვეულებრივად ამოძრავდა. ხალხი დაბრუნდა აგარაკებიდან და შეუდგა საქმეს. სწავლა ყველგან გახსნილია. ქარხნების გახსნას დღითი-დღე მოელიან. ბაქოს ამბებმა აქაც ბევრი დაალონა. უსაქმობამ და უქმად ყოფნამ ბევრი უწესოება გამოიწვია: ძარცვა-გლეჯა, კაცის კვლა და ავკაცობა. ამ დღეებში მოჰკლეს აქაური პეტლე მოსე ჩხიკვიშვილი. ვიღაცამ ხმა დაჰყარა, რომ აქაური მაჰმადიანები ქართველებს ემუქრებიანო. ეს ხმა ყოვლად უსაფუძვლო გამოდგა. მაჰმადიანები გამოფხიზლების გზას დაადგნენ, საკმაოდ შეუგნიათ ქართველების ვინაობა და ისევ ძმობა და სიყვარულს უცხადებენ.

ზღვით აქ დიდი ჯარი მოდის. **პეტრე.**

—

ქ. ოზურგეთი. დაარსდა თუ არა აქ თვით-მართველობა, მაშინვე აღძრულ იქმნა შუამდგომლობა, რომ ქალაქს ნება მისცემოდა მეორე (ქალაქის სახელზე) აფთიაქის გახსნისა, მაგრამ ხმოსნებმა მთავრობისაგან უარი მიიღეს იმ მოსაზრებით, რომ ადგილობრივ აფთიაქში შედის ექიმის ხელმოწერილი რეცეპტი ექვსი ათასი და არა მეტი. კანონის ძალით კი შეუძლებელი ყოფილა ახალ აფთიაქის გახსნა, თუ ძველს ექვსი ათას რეცეპტზე მეტი არ შემოსდის. მიუხედავად ამისა ხმოსნებმა გასულ წელშიაც სთხოვეს გუბერნატორ სმაგინს (როცა აქ იყო) ამ საკითხის დაკმაყოფილება. გუბერნატორიც დაჰპირდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ამიტომ საზოგადოებამ სამი კაცი გაუგზავნა ადგილობრივ აფთიაქის პატრონს და მოსთხოვა, ჩაეწერა ყველა რეცეპტი თავის წიგნში, რომელიც გადააცილებდა ორჯელ ექვსი ათასსაც და ამით საშუალება მიეცა საზოგადოებისათვის მეორე აფთიაქის გახსნისა, მაგრამ აფთიაქის პატრონმა ხალხის წარმომადგენლებს უარი გამოუცხადა. ამის შესახებ საზოგადო კრებამ მსჯელობა იქონია და საჭიროდ დაინახა ახალ აფთიაქის დაარსება, რადგან ძველის პატრონი ხშირად ორწილ ფასათ ყიდის წამლებს, ამზადებს უსუფთაოდ და თან ზოგი უცოდინარი ყმაწვილის დახმარებით. კრებამ ერთხმად დაადგინა, გაიხსნას საზოგადო აფთიაქი, ხოლო ძველ აფთიაქის პატრონთან შესწყვიტოს ყოველივე კავშირი.

ამავე კრებაზე გადასწყდა რამდენიმე სხვა კერძო საქმე. სხვათა შორის კრების დროს ადგილობრივმა მცხოვრებმა ვირუბოვმა გადასცა თხოვნა თავმჯდომარეს, რომლის ოჯახთანაც საზოგადოებამ ამ ერთი თვის წინად კავშირი შესწყვიტა. იგი თხოულობდა წინანდელ გადაწყვეტილების გაუქმებას. როგორც კრებაზე გამოირკვა, საზოგადოების გადაწყვეტილება დაურღვევიათ და სხვა და სხვა პირებთან დამოკიდებულება ჰქონიათ, რისთვისაც საზოგადოებამ გაუქმებაზე უარი გამოუცხადა და თან კომისია აირჩია იმის გამოსარკვევად, თუ ვინ დაარღვია საზოგადო წეს-რიგი. დაადგინა აგრეთვე, დღეის შემდეგ მოისპოს ყოველგვარი წერილობითი თხოვნა და საჩივრები კრებას გამოეცხადოს პირადათ.

ეს წერილი დაწერილი მქონდა, რომ ამხანაგმა გადმომცა პატარა ქაღალდზე დაწერილი განცხადება, რომელიც გაკრული ყოფილიყო უჩხობში დუქანზე. მომყავს აქვე სიტყვა-სიტყვით თვით განცხადება:

„ბავშებთა საყურადღებოთ.

ჩვენ, ქვედა უჩხობის ბავშთა კრებამ, შემდგარმა 3 ენკენისთვეს 1905 წ. განვიხილეთ მთელი შეცდომები ივანე, პავლე და მოსე გაბრიელის ძე სალუქვაძეების, რომლებშიაც თვითონაც გატყდნენ და ამით უნდოდათ ჩვენ „ერთობაში“ შემოსვლა და სიტყვას კი არ იძლეოდნენ გავსწორდებითო, გადაუწყვიტეთ სამუდამო „ბოიკოტი“, ესე იგი შევსწყვიტეთ მათთან ყოველივე კავშირი და მისვლა-მოსვლა მანამდისინ, სანამდინ არ დავინახავთ სრულიათ გასწორებულს და თუ ღირსათ დავინახავთ, შეიძლება ამხანაგობაშიც მივიღოთ. ამისათვის გთხოვთ და გიცხადებთ აქაურ ბავშებს, შესწყვიტოთ მათთან კავშირი და არ იქონიოთ არაფერი საერთო, სანამდი ჩვენ არ გაგიცხადებთ.

ქვედა უჩხობის ბავშთა კრება.

ეს გადაწყვეტილება შეეხება ქურდობას; ერთ ბავშს მოეპარა ხუთი მანეთი, დანარჩენებს ჰბრალდებოდათ წვრილ-წვრილ ქურდობის ჩადენა.

—ლია

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგ

16 სექტემბერი

ქუთაისი. დღეს, 16 სექტემბერს, ხაზინაში მიმავალს აზოვის ბანკის მეარტელეს, რომელსაც ეტლით 23,000 მანეთი მიჰქონდა, დაეცნენ მძარცველები, ჩამოაგდეს მეარტელე, დარაჯები და იმავე ეტლით გაიქცნენ. მდევართ მალე იპოვნეს მოტაცებული ფულიანი ყუთი. იგი ხელუხლებელი იყო. დამნაშავენი ვერ აღმოაჩინეს.

ქუთაისი. 15 სექტემბერს დაიწყო იათბირი საერობო საგუბერნიო საბჭოში, რომელმაც საერობო დებულება უნდა შეიმუშაოს. თავმჯდომარეობს გუბერნიის მარშალი თავ. წერეთელი. მდივნად არის მომრიგებელი შუამავალი მეუნარგია. წაიკითხეს სამაზრო საერობო საბჭოს პროტოკოლები.

ქუთაისი, 16 სექტემბერი. დღეს საგუბერნიო საბჭოს სხდომის დასაწყისს ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა, ალბად უცაბედად; ერთი დამსწრეთაგანი მსუბუქად დაიჭრა; სხდომა გადაიდო მეორე დღემდე.

პეტერბურგი. „რუს“-ის სიტყვით, უმაღლეს წრეებში დაბეჯითებით ამბობენ, ლამზდორფი და მისი ამხანაგი ობოლენსკი გადიან სამსახურიდანო.

სახელმწიფო კანცელიარია შეუდგა საქმეების მინისტრებისათვის დაბრუნებას ელახლა დასამუშავებლად და აგრეთვე ისეთი საქმეებისაც, რომელნიც პირდაპირ სახელმწიფო სათათბიროში უნდა იქნან გარდაცემული.

საბჭოვის კომისია უქმდება, რადგანაც სახელმწიფო სათათბირო იქმნება შემოღებული. შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგენს პროექტს საქალაქო დებულების შესახებ კანონისას.

როგორც ამბობენ, მინისტრთა კომიტეტის გაუქმება გადაუწყვეტიათ უმაღლესს წრეებში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

15 სექტემბერი

მოსკოვი, 15 სექტემბერი. უნივერსიტეტში მშვიდობიანად დაიწყო მეცადინეობა.

ის 300 ათასი მანეთია, რომელიც რახმანოვებმა შესწირეს, ქალაქი ვეებერთელა სანატორიუმის აგებას შეუდგა ტიხვინსკის მამულში, აქვე მოსკოვთან ახლოს.

თავმჯდომარემ გრაფმა გეიდენმა სიეზდი დახურულად გამოაცხადა. სასტუმროში, ასი კაცის თანდასწრებით, გაიმართა სადილი საზოგადო მოღვაწეებისა, რომლებშიაც ზოგი სიეზდის მონაწილენი იყვნენ, ზოგიც კავშირების წევრები. ებრაელები, პოლონელები და ლიტვინები დაუძმობილდნენ რუსებს. დაარსდა კოალიციური კომიტეტი არჩევნების წინააგიტაციის გასაწევად რუსეთში.

ხარკოვი. რადგანაც მაზუთის მაგიერ ნახშირი შემოიღეს საწვავად, ამიტომ რკინის გზა ორთქლ-მავალების გადაკეთებას შეუდგა.

ოდესა. ქალების ერთმა ჯგუფმა თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის საბჭოს, ნება მიეცეთ ქალებს ყველა ფაკულტეტებზე მსმენელისა სტუდენტებსავით.

პარიზი. ამბობენ, დიონში ძლიერ საყურადღებო სამხედრო დოკუმენტები მოიპარესო.

სტამბოლი. მთავრობამ გადასწყვიტა, გააძლიეროს ბოსფორის სიმაგრეები.

ბერლინი. შედგენილი ბიუჯეტი ძლიერს დეფიციტს უჩვენებს და ამასთან ცალკე სახელმწიფოებიდან შემოსავლის გადიდებას.

ბუდაპეშტი. როგორც დამოუკიდებელ პარტიის ვიცე-პრეზიდენტი არწმუნებს, ფრანციოსები იმიტომ ეწინააღმდეგება უნგრეთის ენის შემოღებას ჯარში კამანდრობის დროს, რომ მაზე გავლენა ბერლინიდან აქვთ, რის წარმომადგენელიც გერმანიის ელჩი არისო.

ლონდონი. გაზეთები განაგრძობენ ხელშეკრულობაზე ლაპარაკს. „დეილი-ნიუს“-ი სასტიკ კრიტიკას უშვრება მას, განსაკუთრებით იმ პუნქტს, რომელიც ინდოეთს შეეხება და რომელიც ძლიერ ფართოა და გამოურკვეველი და შეუძლია გაამართლოს ყოველი მეტის მეტი აქტიური,—როგორც კერზონისას, მაგალითად—პოლიტიკა ავღანისტანსა და ტიბეტში; ამიტომ გაზეთი მიესალმება ახალ ლიბერალურ პარტიას, რომელიც კარგად გამოარკვევს ხელშეკრულობის აზრს, რაც ერთად ერთი მისცემს შეძლებას შენახულ იქნეს რუსეთსა და გერმანიასთან ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულობა. ეს სახელმწიფოები, შიშობდა, ისე ჩასთვლიან, რომ ხელშეკრულობა მიმართულია აღმოსავლეთში მათის ძლიერების განვითარების წინააღმდეგო.

16 სექტემბერი

პეტერბურგი. ვიტტე დეპეშით გაიწვიეს ბიერკში, სადაც ხელმწიფე იმყოფება უავგუსტოესის ოჯახობით.

ვორონეჟი. საბჭომ სასურველად სცნო ქალაქებსაც მიენიჭოთ საარჩევნო უფლებები ერობებსა და ქალაქების სამმართველოებში.

მოსკოვი. ტუჟილოს ხმა, ვითომც სტესელს დამბლა დასცემოდეს.

ბერლინი. ელექტრონის ქარხნების გაფიცულ მუშების მთავარმა კომიტეტმა დაადგინა, კონფლიქტის დასაცხრობად მოუწოდონ სამრეწველო სასამართლოს შუამდგომლობას. ბერლინის ლითონის მრეწველთა კავშირმა დაადგინა დაუყონებლივ დახუროს თვისი ცნობილი შესაკრები კანტორა, რის გამოც გაფიცულს და დათხოვნილ მუშებს ვეღარ შეეძლებათ სამუშაო მიიღონ იმ ფაბრიკებიდან, რომელნიც კავშირს ეკუთვნიან. ამას გარდა ლითონის მრეწველთა საბჭომ მიანდო კომისიას, თუ ელექტრონის ქარხნები ნამდვილად დაიხურა, იმ შემთხვევაში შეჩერებულ იქმნას კავშირის ყველა მონაწილეების ქარხნებიცო. თუ ეს ზომა გავიდა, 65 ათასი მუშა უხელ-საქმოდ დარჩება.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

15 სექტემბერი.

მოსკოვი 15 სექტემბერი. მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციის საკითხის შესახებ, საერთო საერობო სიეზდმა სცნო, რომ ადგილობრივ თვით-მმართველობის ორგანოების უწყებაში უნდა შევიდეს მთელი ოლქი ადგილობრივ მმართველობისა, აგრეთვე პოლიციაც. გარდა იმ დარგისა, რომელიც, სახელმწიფო ცხოვრების პირობების გამო, ცენტრალიზაციას ითხოვს, ცენტრალურ მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლის მოქმედება უნდა გამოიხატოს ადგილობრივ თვით მმართველობის ორგანოების კანონიერ მოქმედებისთვის ყურის გდებაში; ყველა სადაო საკითხები მთავრობის და თვით-მმართველობის წარმომადგენელთა შორის უნდა გადაწყდეს სასამართლოში. ადგილობრივ თვით-მმართველობის ორგანოებს უნდა ჰქონდეთ ფართო უფლება გამოსცენ კანონთა ფარგალში, საზოგადო განათლების ხასიათის დადგენილებანი და ამასთან სავალდებულო დადგენილებათა მოქმედების წრეში უნდა შევიდეს, რაც შეიძლება მეტი, საგნები, რომელნიც ამჟამად საკანონმდებლობო ძალის ხელშია. ხუთის საათის კამათის შემდეგ კანონმდებლობის დეცენტრალიზაციის შესახებ სიეზდმა, 78 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 40 ისა, მიიღო ბიუროს მიერ წარდგენილ წინადადების მაგიერ, შემდეგი შესწორება პეტერბურგის წარმომადგენლის ოპპელისა: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დაარსება ადგილობრივ საწარმომადგენლო კრებებისა, რომელთაც უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ და განახორციელონ საკანონმდებლო ძალა, საჭიროა იმპერიის ზოგიერთ ნაწილებისთვის, სიეზდი ადგენს, რომ მოქალაქობრივ თავისუფლების უფლებებისა და ხალხის წესიერ წარმომადგენლობის შემოღების შემდეგ საკონსტიტუციო უფლებებით, მთელს იმპერიას უნდა კანონიერი გზა მიეცეს ადგილობრივ ავტონომიების გახსნისათვის. დეცენტრალიზაციის საკითხმა მთელი ალიაქოთი გამოიწვია. ბევრი ამტკიცებდა, რომ შეუძლებელია ასეთი პროგრამით გამოსვლა ამომრჩევლების წინაშე, რომელნიც ფედერატიულ ოლქის დაარსებაში რუსეთის მთლიანობის დარღვევის განზრახვას დაინახვენო. ბევრი ორატორი არწმუნებდა, ნუ წავალთ იმ გზით, რომელიც სახელს გაუტეხს სიეზდს მცხოვრებლების თვალშიო.

პორტ-საიდი, 15 სექტემბერი. დღეს ააფეთქეს სუეცის არხში ჩაძირული გემი „ჩატამი“.

სტამბოლი. გადაწყვეტილია, კრიტოსზე მყოფ რუსის ჯარს 400 კაცი კიდევ მიუმატონ. აძლიერებენ აგრეთვე იტალიელების ჯარსაც. განზრახვა აქვთ, აჯანყებას კუნძულის დასავლეთით ბოლო მოუღონ საერთაშორისო ჯარების ჩაყენებით. არც მეამბოხეთ სძინავთ და ემზადებიან თავის მხრივ.

პეტერბურგი. პოლონეთის საარჩევნო წესების დამუშავება დასრულდა და ამ დღეებში წარედგინება უმაღლესად.

დილის 8 საათზე მოვიდა ვიტტე. სადგურზე მას მიეგებნენ სახელმწიფო მოღვაწენი, სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენელნი და უამრავი ხალხი.

16 სექტემბერი

ვარშავა. ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა პირველი შემთხვევა ხოლერისა პრაგასა და ვარშავის განაპირა ადგილში. ავადმყოფი ცოცხალია.

მოსკოვი. ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტში, რომელიც პეტერბურგში იცხოვრებს, სიეზდმა აირჩია: არსენიევი, გრაფი გეიდენი, ნაბოკოვი კუზმინ-კარავაევი, რადიჩევი, ოპპელი, რუტცენი, მილიუკოვი და კოკოშკინი.

პარიზი. ვიტტეს ყოფნა იმპერატორ ვილჰელმთან აქ ისე ესმით, რომ, ალბად, რაღაც კავშირი უნდა არსებობდეს რუსეთსა და გერმანიას შორის. ამ ამბავს თანაგრძნობით მიეგებებიან, რადგანაც ყველასთვის სასურველია საყოველთაო მშვიდობიანობა, იმ პირობით კია, რომ მოგვარებულ იქნას ის მწვავე საკითხები, რომელნიც შეკავშირებულია ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებასთან.

ბერლინი. „კელნიშე ცაიტუნგი“ ამბობს, ინგლის-იაპონიის კავშირი უზრუნველმყოფელია მშვიდობიანობისა შორეულ აღმოსავლეთში, ვინაიდან მახლობელ წლებში ვერავინ ვერ დაარღვევს არსებულ წესიერებასო.

პეტერბურგი. იმ პირთაგან, ვინც სამრეწველო გადასახადს პირველ რაზრიადით იხდის, საარჩევნო უფლება სათათბიროში ექმნებათ მხოლოდ ბანკების დირექტორებსა და გამგეობის წევრთ.

ლონდონი. „რეიტერ“-ის სააგენტოს გაუგია, გადაწყვეტილია განაგრძონ სტრატეგიული რკინის გზა ამიურიდან ავღანისტანამდე. გაუგებრობის თავიდან ასაშორებლად, ინდოეთის მთავრობა აუხსნის ავღანის ემირს განზრახულ გზის ხასიათს და უჩვენებს, რომ უკანასკნელი არამც თუ გაატარებს რკინის გზის ქსელს, მაგრამ სასარგებლოც იქნება იმ შემთხვევაში, თუ ემირი მიმართავს დახმარებისთვის ინდოეთს.

პარიზი. რუვიემ და რადოლინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მაროკოს შესახებ.

მოსკოვი. საერთო სიეზდის „ამომრჩეველთადმი მასამართ მოწოდების რედაქციაში“ შეტანილია აგრეთვე სახალხო განათლების რეფორმა, მიწის მომუშავეთათვის მეტის მიწის მიცემა, მუშების დაზღვევა სახელმწიფო ხარჯით და საიჯარო ურთიერთობათა მოგვარება.

ბერლინი. მაროკოს საკითხის შესახებ რეფორმების პროგრამაში შეტანილია: პოლიციის დაარსება, იარაღის კონტრაბანდად ზიდვის შეწყვეტა და ფინანსიური რეფორმა.

პეტერბურგის ბირჟა 13 სექტემბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	93,90
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,60
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37.60—57 1/2
ბირჟის დისკონტი	5 1/2—7%
4% სახელმწიფო რენტა	88 7/8
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	84 1/4
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	454
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 866 წ.	352
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	286
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
5 1/2% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ, ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ამცია	193

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № (20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.) 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ., (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. გზამ № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.);. 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღ. 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.) 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 9 წ. (11 ს. 7 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ.) 2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 ს. (8 ს. 20 წ.).

შორაპნამდე: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში, ოფ ასუ ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 80 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
ღია არის დილით 10—2 საათ
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—8 „

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის ვალის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონ. № 115. (წ.)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბახანაშვ.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მედანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
დვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან გ. ქვანქვალოვისა	1	—

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

!! ერიდეთ ფალსიფიკაციას !!

ჰიგიენური საპონი

ბორნო-ტიმოლისა,

პროვიზორის

ი. ფ. იურგენსისა

სპობს ჭორფლსა, ყოველგვარ მუწუკს, სიყვითლესა და კანის დამწვრობ. მოქმედობს მეტის მეტ ოფლიანობის წინააღმდეგ. მშვენიერის სურნელების, საუკეთესო სატუალეტო და მაღალის ხარისხის საპონია. **ოქროს მედალი, ლონდონში 1903 წელს.**

ერთი ნაჭერი ღირს 50 კაპ., ხოლო ნახევარი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიაში.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში.

(მც. 14—8)

Доз. цен. Тифлисъ, 16 Сентября 1905 г.

ПОЧ. ГУБ. ... ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ-სა